№

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი
ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და მლეთა მთავრობისა.

1923 წლის ნოემბრის 2.	№ 11. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 181. მარილის აქციზის შემცირების შესახებ სახელმწიფო და კოოპერატიული თევზის მრეწველობისათვის.

„ 182. სალერბო გამოსაღების განაკვეთის გადიდების შესახებ.

„ 183. საკანცელარიო გამოსაღების განაკვეთის გადიდების შესახებ.

„ 184. ახალი საბაჟო დაწესებულებების გახსნის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის და სპარსეთის ხმელეთის საზღვრებზე.

„ 185. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმენებულისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში—ტრანსპორტის წესიერების დაცვისა და უშიშროებისათვის სავალდებულო დადგენილების გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის გადასახდელის დადების უფლების მინიჭებისა.

„ 186. სავაჭროდ გასატანი აბრეშუმისა და აბრეშუმის პარკის საბაჟო განაკვეთის შესახებ.

„ 187. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში მდებარე ცარიელი სამხედრო შენობების დაცვის შესახებ.

„ 188. არსებული საკაქციზო განაკვეთის შეცვლის შესახებ.

„ 189. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქონებული ავტო-მანქანისა და ავტო-ქონების აღწერის შესახებ.

„ 190. სპარსეთიდან შემოტანილი კანაფის უბაჟოდ შემოშვების შესახებ.

„ 191. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე საზომ-საწონთა მეტრიული სისტემის შემოღების ღონისძიებათა გაერთიანებისათვის გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

„ 192. სარეწავი გადასახადის განაკვეთთა ზოლების შეცვლის შესახებ.

„ 193. უნიშანწყლო ქაღალდზე დაბეჭდილი კუპიურების ტრიალის შესახებ.

„ 194. მოსავლიანობის კატეგორიის დაბლა დაწევის შესახებ საქართველოსა და აზერბაიჯანის ზოგიერთი მაზრისათვის.

„ 195. სარეწავი გადასახადის კატეგორიათა განაწილებისა და საზოლო განაწილების შეცვლის შესახებ სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებისათვის საწყობთათვის და პირადი სარეწავი მოსაქმეობისათვის.

„ 196. 1923—1924 საბიუჯეტო წლის ფინანსიურ აღრიცხვათა და სახელმწიფო შემოსავლის გასავლის ნუსხის შედგენისა და განხილვის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი

მუხ. 197. საპატენტო გამოსაღების მტკიცე განაკვეთის რაოდენობის დაწესების შესახებ ჩერ-
—ონეცის ანგარიშით მაგარი სასმელების წარმოებისა და გაყიდვისათვის და ფოთოლ-
—თამბაქოს და თამბაქოს ნაკეთობის ვაჭრობისათვის.
„ 198. შრომის სახელმწიფო შემნახველი კასების დაარსების შესახებ.
„ 199. სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების სამოქმედრდ შემოღების შესახებ.
„ 200. დებულება სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის შესახებ.
„ 201. საოპერაციო წლის ვადის დაწესების შეხახებ საკრედიტო დაწესებულებათა ანგარიშის
შედგენისათვის.
„ 202. საპაპიროსო ქაღალდის აქციზით დაბეგვრის სისტემის შეცვლის შესახებ.
„ 203. ერთდროული აქციზის მტკიცე განაკვეთის რაოდენობის სარჩონეცო ანგარიშით და-
წესების შესახებ იმ ადგილების სასასმელო სავაჭროებისათვის სადაც ღვინის აღნუსხვა
არა სწარმოებს.
„ 204. სამსახურის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში.
„ 205. საკანცელარიო გამოსაღების შეცვლის შესახებ.
„ 206. მარტივი საღერბო გამოსაღების განაკვეთის შეცვლის შესახებ.
„ 207. დახმარების მიცემის წესის შესახებ.
„ 208 მტკიცე საკაციხო განაკვეთის შემოღების შესახებ საფეიქრო მრეწველობის ნაწარმოე-
ბთათვის.
„ 209. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო თანხის შემცირების შესახებ.
„ 210. ყველი ოფოთოლ-თამბაქოს აქციზით დაბეგვრის შეცვლისა და მოსაწვევი თამბაქოსა
და პაპიროსის მტკიცე განაკვეთის შესახებ ჩერეონეცის ანგარიშით.
„ 211. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ სამეცნიერო
დაწესებულებათა მისამართით წარგზავნილი წერილებისა, ბანდეროლისა და ამანა-
თის ფოსტით უფასოდ გაგზავნის შესახებ.
„ 212. საბაჟო-სატარიფო კომისიის დაარსების შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან.
„ 213. ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებთა გადახდევინებისა და კომუნალური
სამსახურისათვის სასყიდლის შესახებ დიდ ქალაქებში.
„ 214. საშუფო საქმის რესპუბლიკანური კომისიების დებულების შეცვლის შესახებ.
„ 215. საღერბო მარკების შეფასების შესახებ.
„ 216. სხვადასხვა კომისიების სხდომათა ექსპერტებისა და მონაწილეთა სასყიდლის შესახებ.
„ 217. ლომბარდების დაარსების შესახებ.
„ 218. ჩერეონეცის კურსის შესახებ 1923—1924 საბიუჯეტო წლის საალრიცხვო შემოსავლისა
და გასავლის გამოსაანგარიშებლად.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აგვისტოს 22.

181. მარილის აქციზის შემცირების შესახებ სახელმწიფო და კოოპერატიული თევზის მრეწველობისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულ იქნეს 1923 წლის აგვისტოს 15-დან სახელმწიფო და კოოპერატიული თეგზის მრეწველობისათვის 50% შემცირება იმ მარილის აქციზისა, რასაც აღნიშნული მრეწველობა მოიხმარს თავის წარმოებაში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის სექტემბრის 2-ს თარიღის 201 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აგვისტოს 22.

182. სახალხო გამოსაღების განაკვეთის გადიდების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მარტივი საღერბო გამოსაღების განაკვეთის გადიდების შესახებ ამა წლის ივნისის 1-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად—გადიდებულ იქნეს ამა გამოსაღების რაოდენობა და დაწესდეს: 40,000 მან. ნაცვლად—100,000 მან., 60,000 მან. ნაცვლად—160,000 მან., 300,000 მან. ნაცვლად—600,000 მანეთი და 500,000 მან. ნაცვლად—1,000,000 მან.—ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. სექტემბრის 2-ს თარიღის 201 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა ... ფილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აგვისტოს 22.

183. საკანცელარიო გამოსაღების განაკვეთის გადიდების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გადიდებულ იქნეს საკანცელარიო გამოსაღების განაკვეთი,—ამა გამოსაღების შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-2 მუხ. აღნიშნული, —75,000 მანეთიდან 150,000 მანეთამდე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. სექტემბრის 2-ს თარიღის 201 №-ში.

დადგენილება № 83 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აგვისტოს 25.

184. ახალი საბაჟო დაწესებულებების გახსნის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა და სპარსეთის ხმელეთის საზღვრებზე.

რადგანაც საქონლისა და მგზავრთა სწორი მიმოსვლა სპარსეთის ხმელეთის საზღვრით აღდგენილ იქნა და აგრეთვე იმისათვის, რათა კონტრაბანდას ბრძოლა გაეწიოს,—სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მოეწყოს დაბა ბაგრამ-ტაპეში და მარალიანში შემდეგი საბაჟო დაწესებულებანი: პირველ პუნქტში—III კატეგორიის საბაჟო, რომელიც დროებით მოთავსებულ იქნეს მეზობელ სოფელ ჩეხირლიში, ხოლო მეორე პუნქტში—საბაჟო სადარაჯო.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. სექტემბრის 4-ს თარიღის 202 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წ. სექტემბრის 3.

185. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ტრანსპორტის წესიერების დაცვისა და უშიშროებისათვის სავალდებულო დადგენილების გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის გადასახდელის დადების უფლების მინიჭების შესახებ.

რათა რკინისგზის ნაგებობათა და ხელსაწყოს დაქცევისა და გაფუჭების შესაძლებლობა, აგრეთვე შესაძლებლობა ამიერკავკასიის რკინისგზის ქონების გატაცებისა წინასწარვე აღკვეთილ იქნეს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მიეცეს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში—უფლება: ა. გამოსცეს ხოლმე სავალდებულო დადგენილებანი—რკინისგზის ზოლის ფარგლებში მოძრაობის წესიერებისა და უშიშროების დაცვის შესახებ და აგრეთვე სარკინისგზო ქონების გატაცებისა და გაფუჭებისა და ტრანსპორტის უკანონოდ გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ და ბ. დაადოს ხოლმე აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ფულადი ჯარიმა ასი საჩერვონცო მანეთის რაოდენობამდე. ის, ვინც თავს განირიდებს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ ამა დადგენილებით გათვალისწინებულ წესისამებრ დადებული ჯარიმის გადახდისაგან,—მიეცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის მიხედვით.

2. ჯარიმა 1-ლ მუხლში აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დადებულ და გადახდევინებულ უნდა იქნეს გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ—კუთვნილებისამებრ,—გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ცალკე ინსტრუქციის თანახმად. ჯარიმის შემტან პირთ უნდა მიეცეს ხოლმე დაწესებული ქვითარი.

3. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის შემოსული ჯარიმა ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში ამიერკავკასიის რკინისგზების აღრიცხვით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასისის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. სექტემბრის 6-ს თარიღის 204 №—ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 85 ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აგვისტოს 25.

186. სავაჭროდ გასატანი აბრეშუმისა და აბრეშუმის პარკის საბაჟო განაკვეთის შესახებ.

სავაჭროდ გასატანი აბრეშუმისა და აბრეშუმის პარკის საბაჟო განაკვეთის შესახებ ამა წლის აპრილის 2-ს გამოქვეყნებული („ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. აპრილის 2-ს თარიღის 74 №-რი) გასატანი საქონლის ვაჭრობის საბაჟო ტარიფის მუხლი, რომელიც აბრეშუმის გატანას ეხება, მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„აბრეშუმი":

პუნქ. 1. აბრეშუმის პარკი მთლიანი—გირვანქა—ბრუტტო 10 კაპ.

პუნქ. 2. წუნდადებული აბრეშუმის პარკი და აბრეშუმის ნაყარი ყოველი ხარისხისა და სახელწოდებისა—ფუთი ბრუტტო უბაჟოდ.

პუნ. 3. ყოველგვარი ყაჭეული—გირვანქა ბრუტტო 2 მან. 50 კაპ.

შენიშვნა. შინა-მრეწველობის წარმოების ყაჭი, რომელიც თურქეთანის საზღვრით გაიტანება,—გაშვებულ უნდა იქნეს უბაჟოდ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. სექტემბრის 6-ს თარიღის 204 №-ში.

დადგენილება № 84 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აგვისტოს 25.

187. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში მდებარე ცარიელი სამხედრო შენობების დაცვის შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ჯარის ბინადრობის რაიონში მდებარე ცარიელი სამხედრო შენობების განადგურების თავიდან ასაცილებლად და დასაცავად სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ჯარის ბინადრობის რაიონში მდებარე ცარიელი სამხედრო შენობების დაცვა გადაეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს.

2. ადგილობრივი დისტანციის უფროსის მიმართვით სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ჩაიბარებს ხსენებულ შენობებს დროებითი გამგებლობისათვის ნუსხისა და აქტის შედგენით, რაზედაც ხელი უნდა მოაწერონ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და სამხედრო უწყების წარმომადგენლებმა.

3. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი იცავს მისთვის გადაცემულ შენობას და პასუხისმგებელია შიგ მოთავსებული ქონების ხელუხლებლობისათვის.

4. სამხედრო უწყებასთან შეთანხმებით სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან ისარგებლოს მისთვის გადაცემული შენობით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. სექტემბრის 6-ს თარიღის 204 №-ში.

დადგენილება № 86 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის სექტემბრის 7.

188. არსებული ააქციზო განაკვეთის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მაისის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების II განყოფილების საფუძველზე—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დაწესებულ იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემდეგი ააქციზო განაკვეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით:

1. ყურძნისა, ხილეულობისა და „იზიუმის“ ღვინოზე:

ა. **ადგილობრივი წარმოებისა**: ა) ყურძნის ღვინო არა უმეტეს 14 გრადუსისა სიმაგრით—1.890,000 მან. ვედროზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—8.550,000 მან.; ბ) ხილეულობის ღვინო 14 გრადუსამდე სიმაგრით—8.550,000 მან. ვედროზე; გ) ყურძნის ღვინო, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს 20 გრადუსისა,—აგრეთვე „იზიუმის“ ღვინო—10.080,000 მან., ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—18.000,000 მან.; დ) მონავარდე ღვინო (შუშხუნა, დამზადებული შამპანიურისდაგვარად)—53.325,000 მან. ვედროზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. უცხოეთის წარმოებისა: ა) ღვინო, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსამდე—16.920,000 მან. ვედროზე; ბ) ღვინო რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსზე მეტს, ხოლო არა უმეტეს 20 გრადუსისა—42.300,000 მ. და გ) მონავარდე ღვინო (შუშხუნა, დამზადებული შამპანიურისდაგვარად)—135.360,000 მან. ვედროზე.

2. ღვინის ძმარი დაიბეგვრება 1.800,000 მანათის რაოდენობით ვედროზე.

3. სპირტი: ა) გამოხდილი პურეულისაგან, დაჩირული ხილეულობისაგან და ყურძნეულისაგან (ქაშმიში და „იზიუმი“) 900,000 მან. გრადუსზე; ბ) კონიაკის სპირტი—225,000 მან. გრადუსზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—1.012,500 მან. გრადუსზე; გ) გამოხდილი ნედლი ხილეულობისაგან და ყოველგვარი ყურძნეულისაგან—90,000 მან. გრადუსზე; დ) კონიაკს დაედება დამატებითი აქციზი 22.500,000 მან. რაოდენობით ვედროზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—45.000,000 ვედროზე.

შენიშვნა. ტეხნიკური, ქიმიური და სხვა სპეციალური საჭიროებისათვის მიცემული უმი და რექტიფიკატი სპირტი—დაიბეგვრება აქციზით საერთო საფუძველზე.

4, არყეულობას, ძირითადი აქციზის გარდა, დაედება დამატებითი აქციზი 36.000.000 მანათის რაოდენობით ვედროზე.

5. ლუდი, თაფლი, კვასი, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყალი: ა) ლუდი არა უმეტეს ექვსი გრადუსისა სიმაგრით—4.500.000 მან. ვედროზე; ბ) თაფლი, კვასი, ხილეულობისა და ხელოვნური წყალი—900.000 მან. ვედროზე.

6. წუბწუბის ასანთი: ა) კოლოფი, რომელიც 75 წკირზე მეტს არ შეიცავს—22.500 მან.; ბ) კოლოფი, რომელიც შეიცავს 75 წკირზე მეტს, ხოლო არა უმეტეს 150 წკირისა—45.000 მან.; გ) კოლოფი რომელიც 150 წკირზე მეტს შეიცავს, ხოლო არა უმეტეს 225 წკირისა—67.500 მან. და სხვ.

7. ნავთის პროდუქტები: ა) ნავთის სანათი ზეთი (კეროსინი) და სხვა ნაწადი გამქვირავლე პროდუქტი ნავთისა (სანათი და საცხებელი ზეთი), ბენზინის გარდა—2.700,000 მან. ფუთზე; ბ) ბენზინი—5.400,000 მან. ფუთზე.

8. ჩაი, ყავა, მათი სუროგატი და ციკორი გირვანქაზე: ა) შავი ჩაი (ბაიხოვი)—4.050,000 მან.; ბ) ჩაი ფილებად—2.475,000 მან.: გ) აგურის ჩაი—1.125,000 მან. დ) ჩაი ადგილობრივი მცენარეულობისა—900,000 მან., ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—4.050,000 მან.: ე) ყავა ნატურალური, უმი ან დახალული და დაფქული—2.700,000 მან.; 3) ყავასა და ჩაის სუროგატი და ციკორი—225,000 მან.

9. საფუარი: ა) დაწნეხილი და აგრეთვე ხმელი საფუარი, გაკეთებული დაწნეხილი საფუარის დამზადების წესით, როცა დამატებულია ფქვილი ან სხვა მისი თანაგვარი მასალა იმ რაოდენობით, რაც საკმარისია საფუარის გასამაგრებლად—900.000 მან. გირვანქაზე; ბ) ხმელი საფუარი გაკეთებული დაწნეხილი საფუარის გახმობით, განსაკუთრებული საშუალებით—2.700.000 მან. გირვანქაზე.

10. სახარინი და მისი თანაგვარი ხელოვნურად დატკბილებული ნივთიერება—45.000.000 მან. გირვანქაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

11. თაფლისა, ქაცვილისა, სტეარინის და სხვა სანთელი—2.700.000 მან. გირვანქაზე.

12. საპმლის მარილი—450.000 მან. ფუთზე, ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—1.800.000 მან.

13. თამბაქოს ნაკეთობა:

ა. ადგილობრივი წარმოებისა: ა) ყვითელი ფოთოლი-თამბაქო (არა წეკო), რომელიც თამბაქოს ფაბრიკის საწყობიდან გადაეცემა ფაბრიკას დასამუშავებლად—4.500.000 მან. გირვანქაზე; ბ) წეკოს პაპიროსი—2.700.000 მან. 1000 ცალზე; გ) სიგარა—54.000.000 მან. 1000 ცალზე; დ) სიგარეტი—20.250.000 მან. 1000 ცალზე; ე) მოსაწევი წეკო—450.000 მან. გირვანქაზე.

ბ. უცხოეთის წარმოებისა: ა) მოსაწევი თამბაქო და ბურნუთი ყოველნაირი ხარისხისა—13.500.000 მან. გირვანქაზე; ბ) პაპიროსი ყოველნაირი ხარისხისა—27.000.000 მან. 1000 ცალზე; გ) სიგარა—180.000.000 მან. 1000 ცალზე; დ) სიგარეტი—67.500.000 მან. 1000 ცალზე.

14. გილზის ნაკეთობა და პაპიროსის ქაღალდი: ა) პაპიროსის გილზი—900.000 მან. 1000 ცალზე; ბ) დაჭრილი პაპიროსის ქაღალდი—270.000 მან. 1000 ფურცელზე.

შენიშვნა. გილზი, რომელიც თამბაქოს ფაბრიკაში მოხმარებული იქნება პაპიროსის დასამზადებლად—აქციზით არ დაიბეგვრება.

15. პაპიროსს, რომელიც დამზადებულია თამბაქოს სახელოსნოში აქციზგადახდილი ბანდეროლიანი თამბაქოსაგან და აქციზგადახდილი ბანდეროლიანი გილზისაგან—დაედება დამატებითი აქციზი 900.000 მან. რაოდენობით 1000 ცალზე.

16. ჭარხლისა და სახამებლის შაქარი:

ა. ჭარხლის შაქარი კრისტალისებური: ა) ფხვნილი—13.500.000 მან. ფუთზე; ბ) რაფინადი—16.875.000 მან. ფუთზე.

ბ. სახამებლის შაქარი სითხედ და გამაგრებული (სახამებლის ბადაგი „გლიუკოზა“ და რაფინადი)—5.400.000 მან. ფუთზე.

17. შირის კალოში: ა) ადგილობრივი წარმოების კალოში—900.000 მან. წყვილზე; ბ) საზღვარგარეთიდან შემოტანილი კალოში—1.800.000 მან. წყვილზე.

შენიშვნა. ბავშის კალოს დაედება აქციზის ნახევარი.

II. ა) ამა დადგენილებით დაწესებული განაკვეთი გავრცელდება იმ საგნებზე, რაც გამოშვებულია მათი წარმოების ადგილიდან ან მათი შენახვის ადგილიდან, რომელიც სარგებლობს აქციზის მასზე გადარიცხვის უფლებას არსებული წესით.

ბ) საგნები, რომელთა აქციზი უკვე გადახდილია მტკიცე განაკვეთისამებრ, თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის მაისის 14-ს დადგენილებისა—განთავისუფლებულ არიან დამატებითი აქციზისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) იმ საგნებისათვის, რომელიც გამოშვებულია აქციზის გასტუმრების ვადის შეღავათიანი გადადებით და აგრეთვე ვადაგადაცილებული საგნებისათვის აქციზი გადახდილ უნდა იქნეს მისი გასტუმრების დღის განაკვეთისამებრ.

III. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის სექტემბრის 9-ს თარიღის 207 №-ში.

დადგენილება № 87 ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 11.

189. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქონებული ავტო-მანქანებისა და ავტო-ქონების აღწერის შესახებ.

რათა დაწვრილებით გამორკვეულ იქნეს ავტო-ტრანსპორტის რაოდენობა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე და რესპუბლიკებში ავტო-მეურნეობის გასაუმჯობესებლად, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს**:

1. ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, მოხდეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში აღწერა ყველა ავტო-მანქანისა, რაც სახელმწიფო დაწესებულებებისა და სხვადასხვა უწყების განკარგულებაშია და, აგრეთვე ,რაც ეკუთვნის ცალკე ორგანიზაციებს და კერძო პირთ.

2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში აღწერის წარმოება, ამიერკავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის საოლქო სამმართველოს საერთო ხელმძღვანელობით , —დაეკისროს:

საქართველოში—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ადგილობრივი ტრანსპორტის სარაიონო სამმართველოს.

აზერბაიჯანში—გზათა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს აზერბაიჯანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთში
აჭარისტანში
აფხაზეთში } ადგილობრივი ტრანსპორტის სარაიონო სამმართველოებს.

3. ყველა ის პირი, ვინც ზემოაღნიშნული ვადის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა მის გამგებლობად ან საკუთრებად ქონებულ ავტო-მანქანას არ გაატარებს რეგისტრაციაში, მიცემულ უნდა იქნეს კანონიერ პასუხისგებაში 300 მანეთამდე დაჯარიმებით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. სექტემბრის 19-ს თარიღის 215—№—ში

დადგენილება № 88 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 11.

190. სპარსეთიდან შემოტანილი კანაფის უბაჟოდ შემოშვების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
შემოშვებულ იქნეს უბაჟოდ სპარსეთიდან შემოტანილი კანაფი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. სექტემბრის 19-ს თარიღის 215 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 89 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აგვისტოს 24.

191. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე საზომ-საწონთა მეტრიული სისტემის შემოღების ღონისძიებათა გაერთიანებისათვის გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფარგლებში სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე საზომ-საწონთა მეტრიული სისტემის შემოღების ღონისძიებათა გაერთიანების შესახებ ამა 1923 წ. ივნისის 21-ს თარიღითა და 58 №-რით გამოცემულ დადგენილების დასამატებლად ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე საზომ-საწონთა მეტრიული სისტემის შემოღებით შემოსული წმინდა შემოსავალი მიქცეულ იქნეს მარტოოდენ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკათა სახელმწიფო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ფინანსიურ დახმარებისათვის.

2. აღნიშნული ფონდიდან თანხის გაცემა მოხდეს ხოლმე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. სექტემბრის 20-ს თარიღის 216 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის სექტემბრის 15.

192. სარეწავი გადასახადის განაკვეთთა ზოლების შეცვლის შესახებ.

რათა შეცვლილ იქნეს ამიერკავკასიის ფედერაციის დროებითი განაწილება ზოლებად,—სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა ძირითადი სარეწავი გადასახადის განაკვეთების მიხედვით (სარეწავი გადასახადის აკრეფის წესის მე-5

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლის მე-4 დანართი),—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

1) ქალ. კარიაგინო გადატანილ იქნეს IV ზოლიდან V-ში და
2) კოლონია ელენენდორფი V-დან IV-ზე.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო
კომისრის მოადგილე **ერქომაიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის სექტემბრის 20-ს თარიღის 216 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის სექტემბრის 21.

193. უნიშანწყლო ქაღალდზე დაბეჭდილი კუპიურების ტრიალის შესახებ.

რადგანაც 100, 250 და 500 ათასიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნები იბეჭდება, სხვათა შორის, უნიშანწყლო ქაღალდზედაც, ვაცხადებთ მოსალოდნელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად, რომ ამიერკავკასიის ფულის ნიშნების აღნიშნულ კუპიურებს აქვთ კანონიერი მსვლელობა ნიშანწყლიან ქაღალდზე დაბეჭდილ კუპიურების თანაბრად და ამატომ საყალდებულოა მისაღებად ყველა,—გამოუნაკლისად,—სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისა და აგრეთვე კერძო საწარმოსა და პირისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
ფინანსთა სახალხო კომისრის მაგიერ **ე. გენკინი.**
ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის
სავალიუტო სამმართველოს უფროსი **ა. საფარიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. სექტემბრის 23-ს თარიღის 218 №-ში.

დადგენილება № 90 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის სექტემბრის 13.

194. მოსავლიანობის კატეგორიის დაბლა დაწევის შესახებ საქართველოსა და აზერბაიჯანის ზოგიერთი მაზრისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამა წლის ივლისის 16-ს დეკრეტით დაწესებული მოსავლიანობის კატეგორიების ნაცვლად მიეკუთვნოს:

საქართველოში: ახალქალაქის მაზრა—მესამე კატეგორიას, ახალციხისა და გორისა—მეოთხე კატეგორიას, ბორჩალოსი და თელავისა—მეხუთე კატეგორიას.

აზერბაიჯანში: ყუბათლისა და ყარიაგინის მაზრები—მეორე კატეგორიას; ნუხის, ყუბის, ლენქორანის, განჯის, შამხორის, შუშის და სალიანის—მეოთხე კატეგორიას; შემახის, ჯევანშირის, ყაზახის აღდაშის მაზრები და ნახიჩევანის მხარე—მეხუთე კატეგორიას.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის სექტემბრის 27-ს თარიღის 221 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის სექტემბრის 27.

195. სარეწავი გადასახადის კატეგორიათა განაწილებისა და საზოლო განაწილების შეცვლის შესახებ სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებისათვის, საწყობთათვის და პირადი სარეწავი მოსაქმეობისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. აპრილის 5-ს თარიღით სახელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების დამტკიცებისა და სამომქმედოდ შემოღების შესახებ გამოცემული დეკრეტის („ზარია ვოსტოკა“ 1923 წ. აპრილის 15, № 84) 1-ლი მუხლის „ა“ და „გ“ ლიტ. აღნიშნულ განაწილებათა შესაცვლელად, რაც დაერთო (დანართი 1 და 3) მოხსენებული დებულების 6 და 8 მუხლს („ზარია ვოსტოკა“ №№ 92 და 93, 1923 წ. აპრილის 25 და 26), ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს დართული: ა) განაწილება სარეწავი გადასახადის კატეგორიებისა და საზოლო განაკვეთისა სამრეწველო საწარმოოთათვის და ბ) განაწილება სარეწავი გადასახადის საზოლო განაკვეთებისა.

2. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს სარეწავ მოწმობებზე, რაც აღებულ იქნება 1923—1924 სამეურნეო წლის პირველი ნახევრისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაწილება სარეწავი გადასახადის საზოლო განაკვეთებისა

(ფასები სანახევარწლო მოწმობებისა ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით).

კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი		ზ ო ლ ე ბ ი				
		1	2	3	4	5
1. სავაჭრო საწარმოთათვის	1 კატეგორ.	7.200.000	5.400.000	3.600.000	2·720.000	1.800.000
	2 „	11.200.000	8.400.000	5.600.000	4.200.000	2.800.000
	3 „	36.000.000	27.000.000	18.000.000	13.600.000	9.000.000
	4 „	112.000.000	84.000.000	56.000.000	42.000.000	28.000.000
	5 „	360.000.000	270.000.000	180.000.000	136.000.000	90.000.000
2. საწყობთა სადგომებისათვის სავაჭრო და სამრეწველო საწარმოებთან	სავაჭრო-სამრეწვ.					
	3 1—6	7.200.000	5.400.000	3.600.000	2.720.000	1.800.000
	4 8—9	11.200.000	8.400.000	3.600.000	4.200.000	2.800.000
	5 10—12	17.600.000	13.200.000	8.600.000	6.600.000	4.400.000
3. პირადი სარეწავი მოსაქმეობისათვის	1 კატეგორ.	2.000.000	1.680.000	1.400.000	1.000.000	680.000
	2 „	3.000.000	2.400.000	2.000.000	1.520.000	1.000.000
	3 „	7.200.000	6.000.000	4.800.000	3.600.000	2.400.000
	4 „	9.000.000	7.200.000	5.400.000	4.480.000	3.000.000
	5 „	30.000.000	23.000.000	20.000.000	15.000.000	10.000.000

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ს ტ უ რ უ ა.
ამიერკავკასიის სოც. ფედ საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი.
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. თ ა ლ ი ბ ლ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაწილება სამრეწველო საწარმოთა შორის სარეწავი გადასახადის კატეგორიებისა და ზოლების განაკვეთისა

(ნახევარ-წლის მოწმობის ფასი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით).

კატეგორია	მუშათა რიცხვი	ზ ო ლ ე ბ ი				
		1	2	3	4	5
1	არა უმეტეს . . 3	4.200.000	3.600.000	2.800.000	2.000.000	1.400.000
2	3-დან 6-დე	8.400.000	7.000.000	5.600.000	4.200.000	2.800.000
3	6-დან 12-დე	12.600.000	10.520.000	8.200.000	7.320.000	4.200.000
4	12-დან 30 დე	25.200.000	21.000.000	16.800.000	12.600.000	8.400.000
5	30-დან 60 დე	40.000.000	34.000.000	28.000 000	22.000.000	16.000.000
6	60-დან 100-დე	54.000.000	48.000.000	42.000.000	36.000.000	30.000.000
7	100-დან 150-დე	68.000.000	62.000.000	56.000.000	50.000.000	44.000.000
8	150 დან 200-დე	80.000.000	74.000.000	68.000.000	62.000.000	56.000.000
9	200-დან 300-დე	116.000.000	110.000.000	104.000.000	98.000.000	92.000.000
10	300 დან 500-დე	180.000.000	180.000.000	180.000.000	180.000.000	180.000.000
11	500-დან 1000-დე	360.000.000	360.000.000	360.000.000	360.000.000	360.000.000
12	1000-დან	560.000.000	560.000.000	560.000.000	560.000.000	560.000.000

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. 1—8 კატეგორიის საწარმო, გარდა ქვემო შენიშვნაში აღნიშნულ საწარმოთა,—უკეთუ მასში მექანიკური მამოძრავებელი მუშაობს, დაიბეგვრება ერთი კატეგორიით უფრო მეტად, ვიდრე ის კატეგორია, რომელიც შეესაბამება მუშათა რიცხვს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ქვემოდ აღნიშნული საწარმონი დაიბეგვრება იმ კატეგორიაზე მეტად, რომელიც შეესაბამება მუშათა რიცხვს: ა) ერთი კატეგორიით: საიუველირო, საათისა, ოქრო-ვერცხლის ნაკეთობისა, მხატვრული ბრინჯაოსი, საფიზიკო და სამედიკო იარაღისა, წყალსადენის მოწყობისა და შეკეთებისა, გაზისა და ელექტრონის განათებისა, ქიმიური პროდუქტების წარმოებისა, ხელოვნური მადნეული წყლებისა და კვასისა, ბეწვეულისა, სამკერვალო და საჩექმე სახელოსნო, რომელიც სამუშაოს უმეშვეოდ და იკვეთავენ; ბ) ორი კატეგორიით: ფოტოგრაფიული და ფოტოტიპიური, წისქვილი, საღერღავი, ერბოს სადღეებავი, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, საფუარისა, არყის სახდელი, ლუდისა და თაფლის სახდელი და ძმრის ქარხანა და აგრეთვე საპნისა და საპარფიუმერიო ნაკეთობის საწარმო.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მოადგილე ვ. ს ტ ურ უ ა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. თ ა ლ ი ბ ლ ი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. სექტემბრის 29-ს თარიღის 223 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 92 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის სექტემბრის 26.

196. 1923-1924 საბიუჯეტო წლის ფინანსიურ აღრიცხვათა და სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხის შედგენისა და განხილვის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომოყვანილი დროებითი წესები მომავალი 1923—1924 საბიუჯეტო წლის ფინანსიურ აღრიცხვათა და სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის შედგენისა და განხილვისათვის.

I. ზოგადი დებულებანი.

1. მომავალი საბიუჯეტო წელიწადი, რომლისთვისაც შედგენილ უნდა იქნეს გაერთიანებული და არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა და აგრეთვე მათთან გათანასწორებული დაწესებულებების სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ფინანსიური აღრიცხვანი,—დაიწყება 1923 წლის ოქტომბრის 1-დან და გაგრძელდება 1924 წლის სექტემბრის 30-დე.

2. 1923—1924 საბიუჯეტო წლისათვის შესადგენ აღრიცხვებსა და ამ აღრიცხვების საფუძველზე შეკრებილ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხას აქვს მნიშვნელობა საორიენტაციო აღრიცხვებისა და ნუსხისა, რომელთა მიხედვითაც უნდა შესდგეს საკვარტალო ნუსხები.

3. საორიენტაციო ბიუჯეტი დამტკიცდება დადგენილ წესისამებრ და განსაზღვრავს სახელმწიფო გასავლის მაქსიმუმს წლის განმავლობაში და მინიმუმს იმ სახელმწიფო შემოსავლისას, რაც მიღებულ უნდა იქნეს საღრიცხვო წელიწადში.

4. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალება მის განკარგულებაში არსებული საანგარიშო და სხვა ცნობების მიხედვით დაადგინოს საეგებისო საგარაუდო თანხა მომავალი საბიუჯეტო წლის შესაძლებელი შემოსავლისა, რაც მიღებულ იქნება გადასახადებისაგან, ტრანსპორტისა და კავშირისაგან, სახელმწიფო ქონებისა და საწარმოთაგან და სხვ. და აგრეთვე საკრედიტო ოპერაციებისაგან.

5. წინა მუხლში აღნიშნული გამოანგარიშების საფუძველზე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი შეიმუშავებს განზრახულებას საერთო საორიენტაციო თანხების რაოდენობის შესახებ, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იყოს შედგენა გაერთიანებული და არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა და მათთან გათანასწორებული დაწესებულებებისა და ამ განზრახულებათ წარუდგენს დასამტკიცებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს. დამტკიცების შემდეგ აღნიშნული განზრახულებანი უნდა ეცნობოს: ა) თვითეულ გაერთიანებულ უწყებას უშუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალოდ, რათა იხელმძღვანელოს იმ აღრიცხვათა შედგენისათვის, რაც შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფო ნუსხაში და ბ) რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, რათა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ წინასწარ უჩვენოს მის შედგენილობაში შემავალ თვითეულ უწყებას საორიენტაციო თანხა ამ უწყების აღრიცხვისა.

6. ძირითადი მასალა ფინანსიურ აღრიცხვის შესადგენად არის როგორც ის ცნობები, რაც მოეპოება უწყებას თვითეული ამა თუ იმ უწყების მოსაოდნელი შემოსავლისა და მომავალი ხარჯების შესახებ, ისე სათანადო ცნობები და გამოანგარიშებანი, რომელიც წარდგენილ იქნება მისი ქვემდებარე ადგილობრივი ორგანოების მიერ. უწყებანი მისცემენ თავიანთ ადგილობრივ ორგანოებს კონკრეტულ განმარტებას იმის თაობაზე, თუ სახელდობრ რა ცნობები, როგორი ანგარიშები და რა ვადაზე უნდა წარუდგინონ ამ ორგანოებმა ცენტრს. აღნიშნული ცნობებისა და ანგარიშების წარუდგენლობა არ არის საფუძველი საარიცხვო მუშაობის გადადებისათვის; ამასთანავე ადგილობრივი წარუდგენელი მასალის სამაგიროდ უნდა იქნეს საანგარიშო ცნობები და სხვა განმარტებანი წინა საბიუჯეტო პერიოდების გამოცდილებისა.

7. დადგენილ ფარგლებში (მუხ. 5) ფედერატიული და რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატები და უწყებანი შედგენენ თავიანთ წლიურ აღრიცხვას ისე, რომ გაანაწილონ იგი კვარტალებად სასეზონო მოთხოვნილებათა მიხედვით და, შეძლებისადაგვარად, თვიურად; ამასთანავე აღრიცხვას აუცილებლად უნდა დაერთოს საჭირო მასალა გამოთხოვილი კრედიტისა და ნავარაუდევი შემოსავლის შესახებ და აგრეთვე განმარტებითი ბარათისათვის.

8. იმ შემთხვევაში, როდესაც უწყებათა განზრახულებანი სრულიად არ შეიძლება შესრულებულ იქნეს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ან ცალკე, რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ განსაზღვრული თანხის ფარგლებში, უწყებანი ვალდებულ არიან აღრიცხვასთან ერთად წარადგინონ ამის შესახებ თავიანთი მოსაზრებანი განმარტებითი ბარათში, და არ წაერთმევათ უფლება შეადგინონ მეორე აღრიცხვა დამატებითი თანხისათვის, რაც მათის აზრით საჭირო იქნება.

9. შემოსავალ-გასავლის ყოველგვარი გამოანგარიშება სწარმოებს ა. წ. ოქტომბრის 1-ის ნორმებისა და ფასების მიხედვით და აღრიცხვაში გამოხატულ უნდა იქნეს ჩერვონეცით; ამასთანავე ყველა შემთხვევაში, როცა ნორმები და ფასები გამოხატულ არ იქნება ჩერვონეცით უშუალოდ,—შეფარდებულ უნდა იქნეს ჩერვონეცის კურსი იმავე ვადისათვის.

შენიშვნა. ჩერვონეცის კურსი ა. წ. ოქტომბრის 1-სათვის გამოცხადებულ იქნება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სპეციალური დადგენილებით.

10. გაერთიანებული სახალხო კომისარიატის აღრიცხვა და ცალკე რესპუბლიკის ბიუჯეტი, სათანადო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მათი მოწონების შემდეგ, წარედგინება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს იმ ვადებზე, რაც აღნიშნულია 37 და 38 მუხლში.

II. შემოსავლის გამოანგარიშების შესახებ.

11. ფულადი შემოსვალი გამოანგარიშებულ იქნება თანახმად დადგენილი განაკვეთისა, ტარიფისა, ნიხრისა, ხელშეკრულებისა და შეფასებისა, ხოლო, ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საანგარიშო ცნობები გადასახადთა ნამდვილად შემოსული თანხის შესახებ 1923 წლის გასულ თვეებში. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნატურალური ნაწილის გამოანგარიშება სწარმოებს ხორბლის ერთეულზე გადატანით ხორბლის იმ საშუალო საბითუმო ფასის მიხედვით, რაც იქნება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში 1923 წლის ოქტომბრის 1-სათვის.

12. გამოანგარიშება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსავლის იმ ნაწილისა, რომელიც აკრეფილ უნდა იქნეს ნატურად,—უნდა წარმოადგენდეს ღირებულებას მისაღებად ნავარაუდევ პროდუქტთა მთელი რაოდენობისას. ამავე დროს აღრიცხვის ხარჯების ნაწილში ნაჩვენები უნდა იქნეს იმ პროდუქტთა ღირებულება, რაც განაწილებულ და რეალიზაციაქმნილი უნდა იყოს და აგრეთვე ღირებულება პროდუქტთა ჩვეულებრივი და აუცილებელი დანაკლისი ყოველნაირი დაკარგვისა და გაფუჭებისაგან.

13. განზრახულება გადასახადთა შემოსავლის შესახებ, როგორიც არის სარეწავი გადასახადი, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო, აგრეთვე სხვა გადასახადები და შემოსავლის სხვა წყაროები, რომელთაგან ადგილობრივი ორგანოების სასარგებლოდ უნდა გადაიდოს განსაზღვრული პროცენტული ანარიცხი ან ზედნართი,—შეტანილ უნდა იქნეს აღრიცხვაში იმ ანარიცხის გამოკლებით და იმ ზედნართის მიუმატებლად, რაც წარმოებულ იქნება ადგილობრივ და მიიქცევა ადგილობრივ საშუალებათათვის თვით გადასახადების ან სხვა გადასახდელის აკრეფის დროს, ხოლო იმ ანარიცხის გამოუკლებლად და იმ ზედნართის მიმატებით, რასაც გაანწილებს ცენტრი ადგილებ შორის დოტაციური ფონდის მეშვეობით.

14. უწყებათა საშემოსავლო აღრიცხვაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა, გამოუნაკლისად, შემოსავალი, რაც მომავალი წლისათვის შეიძლება შემოვიდეს ხაზინაში, როგორც უშუალოდ, ისე ამა თუ იმ დაწესებულების ან საწარმოს სპეციალურ ამკრეფთა კასების მეშვეობით და ყოველი საშემოსავლო განზრახულება გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ისე, რომ რაც შეიძლება უახლოვდებოდეს საეგებისო, ნამდვილ შემოსავალს.

15. სათანადო ფედერატიულ და რესპუბლიკანურ უწყებათა საშემოსავლო აღრიცხვაში შეტანილ უნდა იქნეს აგრეთვე: ა) საშემოსავლო სალდო სახელმწიფო ტრესტებისა, სინდიკატებისა და სხვა შენაერთისა და აგრეთვე სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოებისა და %% იმ კაპიტალისა და ფონდებისა, რაც მათ მიიღეს ფედერატიულ და რესპუბლიკანურ საშუალებათაგან; ბ) მოგება სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებისა და გ) შემოსავალი სახელმწიფო ფონდების რეალიზაციისა.

16. მე-15 მუხლში აღნიშნული საშემოსავლო სალდოს ცხადყოფისათვის სათანადო ფედერატიული და რესპუბლიკანური უწყებანი ვალდებულ არიან თა-

ვიანთ აღრიცხვასთან ერთად დანართის სახით წარადგინონ წარმოებითი—ტეხნიკური პროგრამა და ფინანსიური პლანი დასახელებულ მუხლში ჩამოთვლილ დაწესებულებათა და საწარმოთა.

ფინანსიური გეგმა უნდა შეიცავდეს: ა) შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას; ბ) შემოსავლისა და ხარჯების თვიურ განაწილებას; გ) მოსაზრებათ პროდუქციის რეალიზაციის შესახებ და დ) მოსაზრებათ კრედიტის მიცემის წესის შესახებ.

III. გასავლის გამოანგარიშების შესახებ.

17. თვითეული უწყებისათვის განსაზღვრული საორიენტაციო თანხის ფარგლებში, უწყებანი ვალდებულ არიან თავიანთი საგასავლო აღრიცხვანი შეადგინონ იმ გეგმის მიხედვით, რომელიც მათ მიაჩნიათ უფრო მნიშვნელოვანად და მიზანშეწონილად, ხოლო, ამასთანავე, არ უნდა გასცილდნენ დაწესებული ტარიფისა, შტატისა და ნორმის ფარგლებს.

IV. ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ბიუჯეტის აღრიცხვათა შემადგენელი ნაწილები, მისი განმარტებანი და დანართები.

18. ფინანსიური აღრიცხვა შედგენილ უნდა იქნეს ჩვეულებრივი შემოსავლისა და გასავლისათვის და საგანგებო შემოსავლისა და გასავლისათვის თანახმად აქვე დართული ნუსხისა; ამასთანავე, ამ აღრიცხვაში განცალკევებით უნდა შედიოდეს:

1) ნუსხა შემოსავლის პარაგრაფებისა—გამოანგარიშებათა აღნიშვნით მომავალი სააღრიცხვო პერიოდისათვის; 2) ასეთივე ნუსხა გასავლის პარაგრაფებისა; 3) დაწვრილებითი აღრიცხვა შემოსავლისა და დაწვრილებითი აღრიცხვა გასავლისა; 4) დანართები აღრიცხვისა; 5) განმარტებითი ბარათი აღრიცხვისა, საერთო მთელი აღრიცხვისათვის და ცალკე-შემოსავლისა და გასავლისათვის.

19. თვითეული უწყების სააღრიცხვო გამოანგარიშება საგასავლო აღრიცხვაში განაწილდება უწყების შოქმედების ძირითად დარგებად და ამ დანაწილების ფარგლებში—პარაგრაფებად, მუხლებად და ლიტერებად.

20. შემოსავლის თვითეულ გამოანგარიშებულ თანხას და პარაგრაფიო, მუხლიო და ლიტერიო გამოთხოვილ თვითეულ კრედიტს აღრიცხვაში—„დანაშნულების საფუძველი“-ს სვეტში მოყვანილ უნდა ჰქონდეს განმარტება ან ცნობები, რაც იყო საფუძველი მათი აღრიცხვაში შეტანისა და აგრეთვე ანგარიშ, დამადასტურებელი გამოანგარიშებათა რაოდენობისა ან და დასახელებულ უნდა იქნეს განმარტებითი ბარათი ან დანართი, რომლებშიც მოცემულია უფრო დაწვრილებითი მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ თანხების გამოანგარიშება სწორია.

21. აღრიცხვის განმარტებითი ბარათი წარმოადგენს საერთო მიმოხილვას იმ შემოსავლისას, რაც არის სახალხო კომისარიატებისა და დაწესებულებების გამგებლობაში და იმ მოთხოვნილებებისას, რაც დაკმაყოფილებულია უწყებათა და სამმართველოთა მიერ; შემდეგ მოყვანილ უნდა იქნეს აღრიცხვის პარაგრა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფები და თვითეულ პარაგრაფში უნდა აღინიშნოს—იცვლება თუ არა ამ პარაგრაფის დანიშნულება წინა საღერიცხვო პერიოდების დანიშნულებასთან შედარებით და თუ იცვლება—რა საფუძველზე; უკეთუ დაწვრილებითი განმარტება არ არის მოცემული თვით აღრიცხვაში, იმ შემთხვევისათვის როდესაც ეს ცვლილება გამოწვეულია უწყების ახალი განზრახულებით,—განმარტებითი მარათში მოყვანილ უნდა იქნეს უფრო დაწვრილებითი გარემოებანი, რაც იქცა საბაბად უწყების იმ ღონისძიებათა, რომელიც გამოიწვევს, ცოტად თუ ბევრად, არსებითი ცვლილებას და შემოსავლისა და გასავლის გამოანგარიშებას, ან შემოსავალსა და გასავალში ახალი მუხლების შეტანას და, ამის გარდა, განმარტებულ უნდა იქნეს ის შედეგი, რასაც უწყება ამ ღონისძიებათაგან მოელის.

22. აღრიცხვის დანართში შტატისა და ანგარიშის გარდა, რაც დაადასტურებს აღრიცხვაში გამოანგარიშებულ თანხას, მოყვანილ უნდა იქნეს საანგარიშო და სხვადასხვაგვარი სტატისტიკური ცნობები, რომელიც შეეხება ამა თუ იმ შემოსავალს ან გასავალს და აგრეთვე ცნობები ამა თუ იმ დაწესებულების გამგებლობაში ქონებული მეურნეობის იმ დარგის მდგომარეობის შესახებ, რომელსაც მიეკუთვნება საღერიცხვო გამოანგარიშებანი და სხვა ცნობები, რაც სასარგებლო იქნება აღრიცხვის განხილვის დროს.

23. სახელმწიფო სბიუჯეტო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვასთან ერთად უწყება წარადგენს,—აღნიშნული აღრიცხვის დანართის სახით,—განსაკუთრებულ აღრიცხვას ან ნუსხას სპეციალური საშუალებებისას, რაც საერთო ბიუჯეტში არ შეიტანება და შეიცავს მიზნებრივი გამოსაღებისა და სხვა წყაროთა შემოსავალს, რომელიც სპეციალურად გადაცემულია ამა თუ იმ უწყების განკარგულებაში—მის გამგებლობად არსებული სამოსწავლო, საგანმანათლებლო და ყოველგვარი დაწესებულებისა და საწარმოს შენახვის ხარჯებისათვის, ან ამა თუ იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის და უწყების ოპერაციათა წარმოებისათვის, რაზედაც კრედიტი ხაზინიდან მიცემული არ არის.

შენიშვნა. არავითარი სბიუჯეტო ასიგნობა, გარდა იმისა, რაც ამა მუხლში აღნიშნული მიზნებისათვის სპეციალურად განსაზღვრულია, არ შეიძლება მიეცეულ იქნეს უწყების სპეციალურ საშუალებათა გასაძლიერებლად.

24. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში შედის აღრიცხვა და ნუსხა სახელმწიფო და რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატებისა და მათთან გათანასწორებული დაწესებულებებისა.

V. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფედერატიული სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვისა და ნუსხის შესახებ.

25. ფედერატიული სახელმწიფო ნუსხა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შემოსავლისა და გასავლისა შესდგება შემოსავალ-გასავლის შემდეგი ფინანსიური აღრიცხვისაგან: ა) აღრიცხვა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლი-

კის სახალხო კომისართა საბჭოსი და მათთან არსებული დაწესებულებებისა: ამერკავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი და მასთან არსებული და მისი ქვემდებარე დაწესებულებებისა; გარეშე საქმეთა, შრომისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ფინანსთა, სასურსათო, საგარეო ვაჭრობისა, ფოსტა-ტელეგრაფისა, და სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატებისა; ამერკავკასიის საგანგებო კომისისა; სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში) სამმართველოსი მისი ქვემდებარე დაწესებულებებით: 1) ადგილობრივი მიმოსვლის განყოფილება, 2) ამერკავკასიის რკინისგზა და აგრეთვე მისი რეგიონალიონური ტრიიუნალი და მუშათა და გლეხთა ინსპექცია; ბ) ზოგად-ფედერატიული ფონდებისაგან.

26. ყველა საფონდო კრედიტი, რასაც დაიწესებს ამერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო, როგორიც არის: სარეზერვო ფონდი, სადოტაციო ფონდი, დახმარებისა და სესხის მიცემის ფონდი ადგილობრივ საშუალებათა გასაძლიერებლად, ფონდი მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა, კოოპერაციისა და საკრედიტო დაწესებულებათათვის სესხის და დახმარების მისაცემად, ფონდი სახელმწიფო მონოპოლიის განხორციელებისათვის და სხვ., — სრულად გატარებულ უნდა იქნეს ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო გასავლის ნუსხაში და სათანადო შემთხვევაში უნდა აღინიშნოს ის ნაწილები ამ ფონდებისა, რაც უნდა გადავიდეს ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განკარგულებაში.

VI. ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და ნუსხის შესახებ.

27. ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხა შესდგება შემოსავალ-გასავლის შემდეგი ფინანსიური აღრიცხვებისაგან: აღრიცხვა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი ეკონომიური თათბირითურთ; აღრიცხვა შინაგან საქმეთა, იუსტიციისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა, სოციალური უზრუნველყოფისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და აგრეთვე ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი.

28. მოკავშირე აფხაზეთის, ავტონომიური აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რესპუბლიკათა სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხა შეუერთდება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ნუსხას; ხოლო ნუსხა მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქისა — შეუერთდება აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ნუსხას.

29. შემოსავალი და გასავალი, რაც შეტანილ უნდა იქნეს რესპუბლიკათა აღრიცხვაში და ნუსხაში, — არის ყველა შემოსავალი და გასავალი, რომელიც

ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის აპრილის 2-ს დეკრეტით (ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტისათვის მიკუთვნებულ ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის შესახებ) და მისი შემდგომი ცვლილებებით მიეკუთვნება რესპუბლიკანურ საშუალებათ; ამასთანავე ამა თუ იმ რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატი დამოუკიდებლად შეიმუშავებს თავის აღრიცხვას ამ შემოსავალ-გასავლისთვის, იხელმძღვანელებს რა ამა დადგენილების სათანადო მუხლებში აღნიშნულ განმარტებებს.

VII. ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლისა და ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის კრებული.

30. ფედერატიული სახელმწიფო შემოსავალ-გასავლისა და სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხათა საფუძველზე ამერიკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი შეადგენს მათ საერთო კრებულს, რომელშიაც გამოყოფილ უნდა იქნეს ბიუჯეტების კრებული თვითეული რესპუბლიკისა ცალკე.

VIII. წესი აღრიცხვისა და ნუსხის განხილვა-დამტკიცებისათვის.

31. გაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა და ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური დაწესებულებების მიერ შედგენილ აღრიცხვებს და აგრეთვე ამერიკავკასიის ფედერაციის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სახელმწიფო ნუსხებს—განიხილავს ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო კომისია.

შენიშვნა 1. ცალკე აღრიცხვანი წინასწარ შეიძლება განხილულ იქნეს ამერიკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის საბიუჯეტო კომისიის სექციებში.

შენიშვნა 2. რესპუბლიკათა აღრიცხვების განსახილველად ამერიკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებთან (რესპუბლიკებში) მოგზაურთა სათანადო საბიუჯეტო კომისიები.

32. საბიუჯეტო კომისიების საერთო მოვალეობას შეადგენს: შემოწმება შემოსავალ-გასავლის გამოანგარიშების სისწორისა, განხილვა ამ გამოანგარიშებისა მისი კანონიერების თვალსაზრისით და, საერთოდ, მისი სწორი დასაბუთების მხრით, და აგრეთვე გამორკვევა იმ საკითხისა, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხარჯი, რომლისთვისაც მოთხოვილია კრედიტი და რამდენად შესაძლებელია, რომ თვითეული გამოთხოვილი თანხა გამოყენებულ იქნეს იმ ვადებზე, რაც დაწესებულია საღრიცხვო წესებით საწარმოთა და დაწესებულებათათვის ნებადართული კრედიტების სამოქმედოდ. საბიუჯეტო კომისია, სხვათა შორის, ვალდებულია თვალყური ადევნოს, რათა აღრიცხვაში არ შეივიდეს ხარჯების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოანგარიშება იმ რაოდენობით, რაც საჭირო იქნება იმისათვის, რომ უწყებამ ან დაწესებულებამ განახორციელოს მთელი გეგმა, რომლის მოლიანად შესრულებას უნდა დასჭირდეს ერთ საბიუჯეტო პერიოდზე მეტი დრო. ასეთი გამოანგარიშებით წარდგენილი აღრიცხვა არ განიხილება საბიუჯეტო კომისიაში და უნდა დაებრუნოს უწყებას ხელახლად შესადგენად, რათა აღრიცხვაში გამოიანგარიშოს ის ხარჯი ამა თუ იმ გეგმისათვის, რაც გადაუდებლად უნდა იქნეს გაწეული და ფაქტიურადაც შეიძლება გაწეულ იქნეს 1923—1924 საბიუჯეტო წლის განმავლობაში. საბიუჯეტო კომისია თვალყურს ადევნებს აგრეთვე, რომ აღრიცხვაში სისწორით იქნეს დაცული საშემოსავლო და საგასაყო კლასიფიკაცია და ნომენკლატურა.

33. რესპუბლიკათა აღრიცხვებს—ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან არსებულ საბიუჯეტო კომისიებში განხილვის შემდეგ და სათანადო სახალხო კომისართა საბჭოს და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადასტურების შემდეგ,—შეჰკრებს ნუსხად ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ რწმუნებული და წარუდგენს მას ამერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატს.

34. ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი,—მას შემდეგ, როდესაც საბიუჯეტო კომისია განიხილავს გაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა და ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ უწყებათა აღრიცხვებს და აგრეთვე ცალკე რესპუბლიკათა სახელმწიფო ნუსხებს,—შეჰკრებს მათ ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რეკპუბლიკის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ერთიან ნუსხად. აღნიშნული ნუსხა განმარტებითი ბარათით და აღრული უთანხმოებით ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ წარედგინება ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

35. ამერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ერთიანი ნუსხის განხილვისა და მოწონების შემდეგ, ნუსხა იგი წარედგინება დასამტკიცებლად ამერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

IX. აღრიცხვისა და ნუსხის წარდგენის ვადები.

36. საორიენტაციო თანხის (მუხ. 5) საფუძველზე შედგენილი გაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა და ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური დაწესებულებების აღრიცხვანი წარედგინება ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს 1923 წლის ოქტომბრის 20-სა; გამონაკლისს შეადგენს ამერკავკასიის რკინისგზათა და ამერკავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს აღრიცხვები, რომელნიც წარდგენილ უნდა იქნენ არა უგვიანეს 1923 წლის ნოემბრის 1-სა.

37. ამერკავკასიის ფედერაციის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სახელმწიფო ნუსხები, ყოველი აღრიცხვით, განმარტებითი ბარათით და ყველა სხვა დანართით წარედგინება ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს 1923 წლის ნოემბრის 1-სა.

38. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამიერკავკასიის ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ერთიან ბიუჯეტში რუდგენს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1923 წლის დეკემბრის 1-სა.

X. ინსტრუქციების შემუშავების შესახებ აღრიცხვათა შედგენისა და განხილვისათვის.

39. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან ერთად შეიმუშაოს, ერთი კვირის განმავლობაში, ინსტრუქციები ამა წესების შეფარდებისა და აღსრულებისათვის, ხოლო უწყებანი ვალდებულ არიან შეიტანონ აღნიშნული ინსტრუქციები აღსასრულებლად. ინსტრუქციების განსაჩივრება სახალხო კომისართა საბჭოში შეიძლება მარტოოდენ იმ შემთხვევისათვის, უკეთუ ეს ინსტრუქციები ეწინააღმდეგება ამა წესებს.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **გრიშინი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

---

18 მუხლის დანართი.

აღრიცხვისა და ნუსხის შედგენის წესის შესახებ 1923-1924 წ.

არაჩვეულებრივ შემოსავალ-გასავალთა ნუსხა.

არაჩვეულებრივ შემოსავალთა აღრიცხვაში და ნუსხაში შეტანილ უნდა იქნეს:

1) შემოსავალი სესხისა და ფულადი ემისიის ყოველგვარი ოპერაციისა დადგენილ ფარგლებში;

2) შემოსავალი სახელმწიფო ფონდების რეალიზაციისა;

3) შემოსავალი მსხვილი იჯარისა და კონცესიისა;

4) შემოსავალი სათესლე და სასურსათო სესხისა და ვალის დაბრუნებისაგან;

5) შემოსავალი სახელმწიფო მონოპოლიისა საზომ-საწონთა მეტრიული სისტემის შემოღების საქმეში;

შენიშვნა. მე-3 მუხლში აღნიშნულ წყაროთა შემოსავლის არაჩვეულებრივ განყოფილებისათვის მიკუთვნება თვითეულ შემთხვევაში უნდა დამტკიცოს ამიერკავკასიისა სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ჩვეულებრივ გასავალთა აღრიცხვაში და ნუსხაში შეტანილ უნდა იქნეს:

1) ფონდები სესხისა და დახმარების მიცემისა:

ა) მრეწველობისათვის;

ბ) სოფლის მეურნეობისათვის;

გ) კოოპერაციისათვის;

დ) საკრედიტო დაწესებულებათათვის და სხვ.

2) ხარჯი ახალი რკინისგზის გაყვანისათვის და მისი მოძრავი შედგენილობისა და რკინისგზის მოწყობილობის შეძენისათვის;

3) ხარჯი ახალი და აღსადგენი მუშაობისა ტრანსპორტისა საქმეში;

4) ხარჯი ელექტროფიკაციისათვის.

5) ხარჯი ნავთსადგურების გაკეთებისა და კაპიტალური რემონტისათვის;

6) ხარჯი სახელმწიფო მონოპოლიისა საზომ-საწონთა მეტრიული სისტემის შემოღების საქმეში;

7) ხარჯი გამოწვეული ხალხის რაიმე უბედურებით (მოუსავლობა, ეპიდემია და სხვ.) და აგრეთვე ომით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის
ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **გრიშინი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის სექტემბრის 30-ს თარიღის 224 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის სექტემბრის 27.

197. საპატენტო გამოსაღების მტკიცე განაკვეთის რაოდენობის დაწესების შესახებ ჩერვონეცის ანგარიშით მაგარი სასმელების წარმოებისა და გაყიდვისათვის და ფოთოლ-თამბაქოს და თამბაქოს ნაკეთობის ვაჭრობისათვის.

ამ ჟამად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით გამოანგარიშებული საპატენტო გამოსაღების განაკვეთის დადგენილების (1923 წლის მაისის 12-ს, გამოცემული) შესაცვლელად,—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დაწესებულ იქნეს შემდეგი მტკიცე სანახევარწლო საპატენტო განაკვეთი ჩერვონეცის ანგარიშით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებისა და ვაჭრობის სახე.	ზ ო ლ ე ბ ი.				
	ყველაზე სრული.	საშუალოზე მეტი.	საშუალო.	საშუალოზე ნაკლები.	ყველაზე ნაკლები.
	ჩერვონეცის მანათით.				
ა. მაგარი სასმელების წარმოებისა და ბითუმად გაყიდვისათვის.					
I. ქარხნები.					
1. პურეულისაგან არყეულის გამომხდელი:					
ა) ძირითადი—500,000 გრადუსამდე .	21,1	21,1	21,1	21,1	21,1
ბ) დამატებითი თვითეული შემდეგი 500,000 °.	4,2	4,2	4,2	4,2	4,2
2. კონიაკისა	5,1	5,1	51,	5,1	5.1
3. ხილეულ-ყურძნისაგან გამომხდელი:					
ა) საკონტროლო იარაღიანი	5,1	5,1	51,	5,1	5,1
ბ) ნორმეული	1,1	1,1	1,1	1,1	1,1
4. სარეკტიფიკაციო:					
ა) ძირითადი 500,000 °-დე	10,5	6,3	4,2	3,2	2,1
ბ) დამატებითი თვითეული შემდეგი 500,000 გრადუს.	2,1	2,1	2,1	2,1	2,1
5. არყეულობისა	8,4	5,1	3,4	2,5	1,7
შენიშვნა. 500,000 გრადუსზე ნაკლები რაოდენობის გამოხდილი ან რეკტიფიკაციაქმნილი სპირტი ჩაითვლება 500,000 გრადუსად.					
II. საბაზისო და საბითუმო საწყობები:					
1. პურეულის და ხილეულობა-ყურძნის სპირტისა.	21,1	16,8	12,6	8,4	4,2
2. კონიაკის სპირტისა და კონიაკისა. .	10,5	6,8	4,2	2,1	—
3. ყურძნის ღვინოსა.	10,5	7,4	6,3	5,3	4,1
4. ლუდისა.	6,3	5,3	4,2	3,2	2,1
ბ. მაგარი სასმელების ცალობით ვაჭრობისათვის.					
I. ვაჭრობა გატანით (ადგილობრივ დაულევინებლად):					
1. მაგარი სასმელების სარდაფი	21,1	16,8	12,6	8,4	4,2
2. ღვინის ვაჭრობა	16,8	12,6	8,4	6,3	—
ღვინის დუქანი	8,4	8,4	8,4	8,4	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებისა და ვაჭრობის სახე.	ზ ო ლ ე ბ ი.				
	უმაღლეს.	საშუალოზე მაღალი.	საშუალო.	საშუალოზე დაბალი.	დაბალ.
	ჩერვონეცის მანათით.				
II. გაყიდვა იქვე დალევით (გაუტანლად):					
1. რესტორანი (სასადილო) და რკინისგზის ბუფეტი	42,1	31,6	25,3	16,8	12,6
2. ბუფეტი თეატრში, ცირკში და გემზე.	6,3	5,3	4,2	3,2	2,1
3. დროებითი გამოფენა საღამოებზე, ბაზრობაზე, სავაჭრო ადგილას, სეირნობაზე (ვაჭრობის თვითეული დღისათვის).	2,1	1,3	0,8	0,6	0,4
III. იქვე დალევით და გატანით:					
1. ლუქანი	63,2	52,6	42,1	31,6	16,8
2 ლუდხანა	4,2	3,2	2,1	1,7	1,3
3. დროებითი გამოფენა ლუდისა საღამოებზე, სავაჭრო ადგილებში, ბაზრობაზე და სეირნობაზე (ვაჭრობის თვითეული დღისათვის) . .	1,1	0,9	0,8	0,6	0,4
ბ. ფოთოლ-თამბაქოს და თამბაქოს ნაკეთობის ვაჭრობისათვის.					
1. საბითუმო საწყობი ადგილობრივი და უცხოეთის ფოთოლ-თამბაქოსი . .	6,3	5,3	4,2	4,2	4,2
2. საბითუმო საწყობი თამბაქოს ნაკეთობისა.	21,1	16,8	12,6	8,4	8,4
3. ვაჭრობა ცალობით სავაჭრო ადგილიდან.	10,5	8,4	6,3	5,3	4,2
4. ვაჭრობა ზიდვით და ტარებით. . .	4,2	3,2	3,2	2,1	2,1

განაკვეთი ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1923 წლის ოქტომბრის 1-ლიდან.

პატენტი აღებული ვადით 1923 წლის დეკემბრის 31-დე დაიბეგვრება დამატებით, 1923 წლის ოქტომბრის 1-დან დაწყებული ვიდრე 1923 წლის დეკემბრის 31-დე, იმ განსხვავების რაოდენობით, რაც იქნება საპატენტო გამოსაღების ახლად დაწესებულ განაკვეთსა და წინანდელ განაკვეთს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპატენტო გამოსაღების აკრეფა მოხდეს ჩერვონცებით და ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით—გადახდის დღის კურსისამებრ.

ამა დადგენილების მოქმედება გავრცელდება ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. ოქტომბრის 2-ს თარიღის 225 №-ში.

დადგენილება № 91 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის სექტემბრის 17.

198. შრომის სახელმწიფო შემნახველი კასების დაარსების შესახებ.

რათა მშრომელ მოსახლეობას მიეცეს შესაძლებლობა უვნებლად და მისთვის ხელსაყრელ პირობებში შეინახოს ფულადი დანაზოგი და თავისუფალი საშუალებანი—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში დებულება შრომის სახელმწიფო შემნახველი კასების შესახებ.

2. დაეკალოს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეუდგეს შემნახველი კასების მოწყობასა და გახსნას აღნიშნული დებულების საფუძველზე.

3. მოხდეს სახელმწიფო შემნახველი კასების ანაბართა გადაფასება ხაზინის ხარჯზე, თანაბრად მანათის კურსის დაცემისა, და უფლება მიეცეს ამიერძეკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ამ საგანზე ცალკე წესები შემნახველი კასების სახელმძღვანელოდ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ოქტომბრის 2-ს თარიღის 225 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑ

ამიერკავკასიის სახალხო კომი-
სართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ᲓᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲔᲛᲬᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

1923 წლის სექტემბრის 17.

I. ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘ.

1. სახელმწიფო შემნახველი კასები მოეწყობა იმისათვის, რათა საშუალება მიეცეს მოსახლეობას შეინახოს და დააგროოს ფულადი დანაზოგი პროცენტების ნართაულით; შემნახველი კასები არის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

შენიშვნა: ფინანსთა სახალხო კომისარიატმა შეიძლება დააკისროს სახელმწიფო შემნახველ კასას აწარმოოს უბრალო საბანკო და სხვა ფინანსიური ოპერაციები, როგორიც არის: შებრებული თამასუქი, ყიდვა, გაყიდვა და შენახვა სახელმწიფო ქაღალდებისა და სხვ.

2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობა თავის თავზე იღებს მთელ პასუხისმგებლობას იმ თანხის მთლიანობისათვის, რაც მიბარებულ ექნება სახელმწიფო შემნახველ კასას.

3. ანაბარის ყოველი ანგარიში შეინახება საიდუმლოდ გარეშე პირთაგან. ცნობა ანაბარის მდგომარეობის შესახებ მიეცემა მარტოოდენ მოანაბარეს, მის კანონიერ წარმომადგენელს და აგრეთვე სასამართლო და საგამომძიებლო ხელისუფლებას. სახელმწიფო შემნახველი კასის მოსამსახურე, რომელიც გარეშე პირს ცნობას გადასცემს—მიიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თანახმად მომქმედი სისხლის სამართლის კოდექსისა.

5. სახელმწიფო შემნახველი კასის საანაბარო წიგნაკი, დავალების წერილი და ვექილობა ანაბარის ან მისი ნაწილის მიღებისათვის, ყოველგვარი განცხადება მოანაბარისა მისი ანაბარის შესახებ, პასუხი ამ განცხადებისა და საერთოდ მთლად საქმისწარმოება კასისა —განთავისუფლებულია საღერბო გამოსაღებისაგან.

II. ᲨᲔᲛᲬᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ

6. სახელმწიფო შემნახველი კასები შეიძლება გახსნილ იქნეს ქალაქებში და სოფლად. შემნახველ კასას შეიძლება ჰქონდეს როგორც მუდმივი, ისე დროებითი განყოფილებანი, როგორც, მაგალითად,— ბაზრობის ადგილას, ვიდრე იქ სწარმოებს სავაჭრო ოპერაციები.

7. ფინანსთა სახ. კომისარიატის განკარგულებით და, საჭირო შემთხვევაში, სათანადო დაწესებულებებთან შეთანხმებით, სახელმწიფო შემნახველი კასა შეიძლება გაიხსნას, საჭიროების მიხედვით, დამოუკიდებელი დაწესებულების სახით და აგრეთვე ფინანსთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებებთან და მთავრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებთან. ცალკე შემნახველი კასების დახურვა მოხდება ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით.

8. შემნახველი კასებისა და მათ განყოფილებათა ორგანიზაციის წესს, კასებში მომუშავე პირთა შედგენილობას და მათ გასამრჯელოს და აგრეთვე ოპერაციების წარმოების წესებს—განსაზღვრავს ფინანსთა სახალხო კომისარიატი, საჭირო შემთხვევაში, სათანადო დაწესებულებებთან შეთანხმებით.

III. სახელმწიფო შემნახველი კასების ოპერაციები.

9. სახელმწიფო შემნახველი კასა მიიღებს ანაბარს: ა) პირველსავე მოთხოვნამდე; ბ) პირობითს, რომელთა მოხმარება, ან რომელთა პროცენტების მოხმარება—დამოკიდებულია განსაზღვრული პირობების შესრულებაზე, ან განსაზღვრული ვადის დადგომაზე; გ) სახელდახელო ანგარიშზე.

10. ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა დააწესოს უკიდურესი ნორმა ანაბარისა, რომლის მიღებაც შეიძლება სახელმწიფო შემნახველ კასაში.

12. მოანაბარედ შეიძლება იყოს: ა) ორივე სქესის პირი განურჩევლად ხნოვანებისა და ბ) დაწესებულება, საზოგადოება და, საერთოდ, ყოველი იურიდიული პირი.

13. ანაბარს, რომელიც შეტანილია 14 წლის არასრულწლოვანის სახელზე—მოიხმარს თვით არასრულწლოვანი მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. დაჭირავებით მომუშავე არასრულწლოვანი განაგებს თავის დანაზოგს დამოუკიდებლად.

14. მოანაბარეს უფლება ეძლევა თავისი საანაბარო წიგნაკით შეიტანოს ფული როგორც იმ კასაში, რომელმაც წიგნაკი მისცა, ისე ყოველ სხვა შემნახველ კასაში ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

15. მოანაბარეს შეუძლიან მოითხოვოს თავისი ანაბარი მთლად ან ნაწილობრივ, თავისი შეხედულებისამებრ, როგორც პირადათ, ისე რწმუნებული პირის მეშვეობით, თავისი წიგნაკის შემნახველ კასაში წარდგენისას.

რწმუნებული პირის მეშვეობით ანაბარის გამოთხოვისათვის საჭიროა კასაში წარდგენილ იქნეს, გარდა მოანაბარის წიგნაკისა, აგრეთვე სათანადოდ შემოწმებული წერილობითი რწმუნებულება მოანაბარისაგან. საზოგადოება და დაწესებულება მოიხმარს კუთვნილ ანაბარს თავისი რწმუნებულის მეშვეობით.

16. სახელდახელო ანგარიშის ანაბარიდან ფულის მიცემა სწარმოებს შემნახველ კასაში ჩეკის წარდგენისას მოანაბარის ხელმოწერით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. ანაბარის მთლად გასტუმრების შემდეგ—მოანაბარე ვალდებულია დაიბრუნოს კასაში როგორც საანაბარო წიგნაკი, ისე ჩეკი.

17. მოანაბარის სიკვდილის შემდეგ მისი კუთვნილი კაპიტალი პროცენტებით მიეკვნა იმ პირს, ვიზედაც გადადის მისი უფლებები; ამასთანავე დაცულ უნდა იქნეს წესი, რაც მემკვიდრეობის შესახებ დადგენილია მომქმედი კანონდებულებით; მოანაბარის სიკვდილის დროს შესაძლებელია აგრეთვე, რომ ანაბარი მიცემულ იქნეს იმ განკარგულების თანახმად, რაც გათვალისწინებული იქნება მოანაბარის წარწერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. მოანაბრეს შეუძლიან თავისი წიგნაკით როგორც საკუთარ სახელზე, ისე სხვა პირის სახელზე გადაიტანოს თავისი ანაბარი მთლად ან ნაწილობრივ სხვა შემნახველ კასაში ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე (მუხ. 12), გადასახდელის რაოდენობას ამ ოპერაციისათვის განსაზღვრავს ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

19. უკეთუ საანაბარო წიგნაკი დაიკარგა, მოანაბარე ან პირი, რომელსაც აქვს უფლება ანაბარის განკარგულებისა, მიიღებს ახალ წიგნაკს არა უგვიანეს შვიდი დღისა მას შემდეგ, როდესაც მოანაბარე განაცხადებს წიგნაკის დაკარგვას; ამასთანავე ის პირი, რომელსაც კასა არ იცნობს,—წარადგენს პირადობის მოწმობას.

20. ანაბარის პროცენტის რაოდენობას დააწესებს ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

21. ანაბარს, პირველსავე მოთხოვნამდე შეტანილს და პირობითს,—პროცენტი მიერიცხება შეტანის თვის მომდევნო თვის 1-ს რიცხვიდან სრული თვეებისათვის; თვედ ითვლება 30 დღე. თვითეული წლის დასაწყისში, გასული წლის განმავლობაში დაგროვილი პროცენტი მიერიცხება მოანაბარის კაპიტალს პროცენტების შემდგომი ზრდისათვის. სახელდახელო ანგარიშის პროცენტი იანგარიშება დღიურად, ხოლო ფულის შეტანისა და მიცემის დღე ანგარიშში არ ჩაითვლება.

IV. სახელმწიფო შემნახველი კასების საშუალებათა შენახვა და დახარჯვა.

22. სახელმწიფო შემნახველი კასის მთელი თავისუფალი თანხა, რაც შესდგება იმის გამო, რომ შენატანი აღემატება მინაცემს,—მოთავსებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ბანკში საამისოდ გახსნილ სახელმწიფო შემნახველი კასის სახელდახელო ანგარიშზე. სახელმწიფო ბანკის მიერ შემნახველი კასის სახელდახელო ანგარიშისათვის გადასახდელი პროცენტის რაოდენობას დააწესებს ყოველწლიურად ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

23. უფლება სახელმწიფო შემნახველი კასების სახელდახელო ანგარიშის განკარგულებისა ეძლევა სახელმწიფო ბანკის გამგეობას ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრის განმარტებისამებრ.

24. მოგების თავისუფალი ნაშთი, რაც დარჩება ანაბარის პროცენტისა და აგრეთვე შემნახველი კასების ხარჯისა და ზარალის დაფარვის შემდეგ,—გაწაწილდება შემდეგნაირად: არა უმეტეს 15%-სა გადაიდება შემნახველი კასების თანამშრომელთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ხოლო დანარჩენი ნაწილი იქცეა კასების სათადარიგო კაპიტალად, ვიდრე თანხა აღნიშნული კაპიტალისა არ მიაღწევს 10%-ს ანაბარის ნაშთისას საანგარიშო წლის დეკემბრის 31-სათვის. როდესაც სათადარიგო კაპიტალი აღნიშნულ რაოდენობას მიაღწევს—შემნახველი კასების ოპერაციების მოგება ჩაირიცხება ხაზინის შემოსავლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

25. როდესაც სახელმწიფო შემნახველი კასების მოგება და სათადარიგო კაპიტალი არ არის საკმარისი ანაბარის პროცენტის გასასტუმრებლად და კასათა ხარჯებისა და ზარალის დასაფარავად,—დანაკლის თანხას გაიღებს ხაზინა.

26. შემნახველ კასათა ხარჯების აღრიცხვა შესდგება ყოველწლიურად და დამტკიცდება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ. იმავე წესით იქნება დამტკიცებული დამატებითი (აღრიცხვის გარეშე) ასიგნობანი, რომელიც არ შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო აღრიცხვის შედგენის დროს.

შენიშვნა. საჭირო თანხა სახელმწიფო შემნახველი კასების თავდაპირველი სორგანიზაციო და სამეურნეო ხარჯებისათვის—გაკეთდეს იქნება ხაზინის საშუალებათაგან საბიუჯეტო წესით.

V. სახელმწიფო შემნახველი კასების ანგარიშგება.

27. შემნახველი კასების ანგარიშგების წარდგენის ფორმებსა, ვადებსა და წესს, აგრეთვე ანგარიშწარმოების ფორმებსა და წესს განსაზღვრავს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, კასების ბალანსი და აგრეთვე მათი წლიური ანგარიში გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის ოფიციალურ ორგანოებში.

28. წლიური ანგარიში შემნახველი კასების ოპერაციათა შესახებ შედგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს იმ წლის ოქტომბრის თვისა, რომელიც მოსდევს საანგარიშო წელს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვნის შემდეგ,—დამტკიცებულ იქნება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ოქტომბერის 2-ს თარიღის 225 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

199. სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მუხ. 1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1923 წლის ოქტომბრის 1-დან ამასთანავე დართული დებულება სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადისა.

მუხ. 2. პირველი საშენაწერო ნახევარ—წლისათვის 1923 წლის ოქტომბრის 1-და 1924 წლის მარტის 31-დე შესაძლებლად იქნეს ცნობილი შემდეგი გადახევა ამა დებულების დადგენილებათაგან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საშემოსავლო გადასახადის შენაწერი გამოანგარიშებულ იქნეს ცხრა თვის—1923 წლის იანვრის 1-დან სექტემბრის 30-მდე—შემოსავლის კვალობაზე.

ბ) თანაბრად გადიდებულ იქნეს 50 პროცენტით დებულებაში აღნიშნული თანხა შემოსავლისა და გადასახადის შენაწერისა.

მუხ. 3. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ყოველ—თვიურად 1-სა და 15-ს რიცხვს დაუწესოს ხოლმე კოეფიციენტი საშემოსავლო გადასახადის შენაწერის გამოსაანგარიშებლად ამიერკავკასიის ფულის ნიშნებში, რისთვისაც გადასახადის მტკიცე შენაწერი გამრავლებულ უნდა იქნეს ამ კოეფიციენტით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომრე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. სექტემბრის 3-ს თარიღის 226—№—ში.

დებულება სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

1. სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადი დაიდება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში მცხოვრებ მოქალაქეთ და აგრეთვე ყოველგვარ საზოგადოებას, რომელნიც შემოსავალს ღებულობენ ქვემოდ ჩაშოთვლილ წყაროთაგან, სახელდობრ:

ა) მონაწილეობა სავაჭრო, სამრეწველო და საკრედიტო საწარმოში მესაკუთრედ, მფლობელად, თანამფლობელად, მოიჯარადრედ, პაიისა და ანაბარის მქონედ და საერთოდ ყოველგვარი მოსაქმეობა ხელობით და სხვა სარეწავით, ვაჭრობით, იჯარით, ნარდათ მუშაობით, შუამავლობით, კომისიონერობით, ექსპედიტორობით, მაკლერობით, საბირჟო და საკრედიტო ოპერაციებით და სხვ.;

ბ) მფლობელობა შენობათა, მიწის ნაკვეთებისა და სხვა ქონების და იჯარით აღება ამ შენობათა, ნაკვეთებისა და ქონებისა კომერციული ექსპლოატაციის მიზნით;

გ) ფულადი კაპიტალი, პროცენტიანი და სადივიდენდო ქაღალდები;

დ) თავისუფალი პროფესია, როგორიც არის პროფესია თავისუფალი პრაქტიკის მქონე ექიმისა, ინჟენერისა, ტეხნიკოსისა, დამცველთა კოლეგიის წევრისა, მსახიობისა, ლიტერატორისა, მხატვრისა და სხვ. და

ე) გასამრჯელო მუშაობისა და სამსახურისათვის დაწესებულებაში და საწარმოში.

2. შემოსავალი, ამა დებულების 1-ლი მუხლის აზრით, არის თანხა მიღებული ფულად ან ნატურად, რომელიც იმ წარმოებითი და სავაჭრო ხარჯების და-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფარვის შემდეგ, რაც დაკავშირებულია ამა თუ იმ "წყაროდან შემოსავლის მიღებასთან,—შეიძლება მოხმარებულ იქნეს მიმღების მიერ პირადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ან აქციის ქონებად, შეინახოს, ან მოახმაროს საწარმოს გაფართოების საქმეს.

3. საშემოსავლო გადასახადით დასაბეგვრ შემოსავალს არ მიეკუთვნება მიწის ნაკვეთებისა და სოფლის მეურნეობის შემოსავალი ან შემთხვევაში, უკეთუ შემოსავლის ან წყაროებისათვის გადახდილი იქნება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

4. ფიზიკურ პირთაგან გადასახადით დაიბეგვრება: ა) მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ამერიკაკავასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში; ამასთანავე დროებით წასული რესპუბლიკის ფარგლებიდან არ გაანთავისუფლებს მის გადასახლდისაგან; ბ) უცხოეთის-ქვეშევრდომი, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი აქვს ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში; გ) ამერიკაკავასიის რესპუბლიკის მოქალაქე და უცხოეთის ქვეშევრდომი რომელნიც მუდმივად სცხოვრობენ ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის გარეშე, მაგრამ შემოსავალს ღებულობენ ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნულ იმ წყაროებიდან, რაც არის ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში.

5. გადასახადისაგან განთავისუფლდება: 1) ის პირი, ვინც ითვლება უცხოეთის დიპლომატიურ კორპუსში; 2) უცხო სახელმწიფოს გენერალური კონსული, ვიცე-კონსული და კონსულის აგენტი, რომელთაც აქვთ სათანადო მოწმობა (ექზეკვატორი) გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან; 3) ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში მყოფი უცხო სახელმწიფოს დიპლომატური მისიის წევრი და თანამშრომელი და აგრეთვე სავაჭრო აგენტი, რომელნიც არიან ქვეშევრდომნი იმ სახელწიფოსი, ვისგანაც ისინი დაინიშნენ, უკეთუ ამ სახელმწიფოში ასეთივე შეღავათი აქვს მინიჭებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მისიის სათანადო პირებს, ან უკეთუ გადასახადისაგან ცალკე თანამდებობის პირთა განთავისუფლება გათვალწინებული იქნება უცხო სახელმწიფოს განსაკუთრებული შეთანხმებით ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკასთან. შეღავათი ესე გავრცელდება აღნიშნულ უცხოელთა მიერ სამსახურისათვის მიღებულ პირად გასამრჯელოზე. ხოლო შემოსავალი, რასაც ისინი მიიღებენ უძრავი ქონების მფლობელობისა, ოჯარით აღებისა და სარგებლობისაგან და აგრეთვე სამრეწველო და სავაჭრო საწარმოსაგან,—დაიბეგვრება გადასახადით საერთო წესისამებრ.

6) იურიდიულ პირთაგან საშემოსავლო გადასახადით დაიბეგვრება შემდეგი ორგანიზაცია:

ა) სააქციო საზოგადება და კომპანია და აგრეთვე საპაიო ამხანაგობაც.

ბ) საკრედიტო დაწესებულებანი; სააქციო და კომუნალური დაწესებულება, ბანკი, საურთიერთო ნდობის საზოგადება და საკრედიტო საზოგადება.

შენიშვნა 1. სრულ ამხანაგობაზე და ნდობის ამხანაგობაზე, თუნდაც ისინი მოქმედებდნენ ნოტარიული ხელშეკრულების საფუძველზე,—6 მუხლის „ა“ პუნქტის მოქმედება არ გავრცელდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნა 2. „ა“ და „ბ“ პუნქტში ჩამოთვლილთაგან გადასახადისაგან განთავისუფლდება ის სავაჭრო-სამრეწველო და საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც გათვალისწინებულია სარეწავი გადასახადისაგან განთავისუფლებულ სახელმწიფო და კომუნალურ საწარმოთა სიით.

შენიშვნა 3. ამა დებულების მოქმედება არ გავრცელდება: ა) სახელმწიფო ტრესტებისა და სინდიკატების შემოსავალზე და ტრესტის გარეშე მყოფ სახელმწიფო საწარმოს შეშოსავალზე; ბ) არც ერთ კოოპერატიულ ორგანიზაციაზე; გ) შერეული ტიპის საჯციო საზოგადოებაზე და ამხანაგობაზე, ე. ი. სახელმწიფო და კერძო კაპიტალის მონაწილეობით დაარსებულ საზოგადოებაზე და ამხანაგობაზე და აგრეთვე საბინაო ამხანაგობაზე. ამა შენიშვნაში დასახელებული ყველა იურიდიული პირი საშემოსავლო გადასახადით დაიბეგვრება ცალკე კანონის საფუძველზე.

7. საშემოსავლო გადასახადით დაიბეგვრება შეერთებული შემოსავალი, მიღებული თვითეული გადამხდელის მიერ 1-ლ მუხლში აღნიშნულ ყველა წყაროდან.

8. გადამხდელის შემოსავალთა რიგიდან გამორიცხება

ა) ხარჯი ქალაღლის საფასურის შენახვისათვის საკრედიტო დაწესებულებაში და მისი გამგებლობისათვის და აგრეთვე ხარჯი გასტუმრების ტარაკისა;

ბ) ხარჯი საიჯარო სასყიდლისათვის, ქირისათვის და აგრეთვე სხვა ბეგარა ფულად და ნატურად, რაც აწევს მოიჯარადრეს დამქირავებელს, გამშენებელს და მოსარგებლეს მესაკუთრის სასარგებლოდ (ანარიცხის გადადება იჯარით აღებულ შენობათა ღირებულების ამორტიზაციისათვის არ შეიძლება;)

გ) ხარჯი, დაკავშირებული შემოსავლის მიღებასთან პროფესიული, პირადი, სარეწავი და სხვა სარგებლის მომტანი მოსაქმეობიდან;

დ) გადახდა ვალებისათვის, გარდა ამა ვალების გასტუმრებისა და აგრეთვე გადამხდელისათვის სავალდებულო ყოველგვარი დრო და დრო გასასტუმრებელი გადასახდელი;

ე) გადამხდელისათვის სავალდებულო შესატანი (გადასახადი, პროფ. კავშირში შესატანი ფული და სხვ.);

ვ) შეწირულება საგანმანათლებელო და საქველმოქმედო მიზნით.

9. ამა დებულების 4 და 6 მუხლში დასახელებულ გადამხდელთაგან გადასახადისაგან განთავისუფლდება ის გადამხდელი, რომელსშ ეერთებული შემოსავალი არ აღემატება თვითეულ ნახევარი წლისათვის კანონმდებლობის წესით დადგენილ მინიმუმს.

10. სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის გასტუმრების ვადებს დაწესებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

11. გადასახადის შენაწირი, რაც მიერიცხება თვითეულ გადამხდელს მისი შეერთებული შემოსავლის კვალობაზე, ჩერკონეცის ანგარიშით, განისაზღვრება შემდეგი ნუსხით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატეგორია	სანაზღვარწლო თანხა ჩერვონეცის მანეთით.	განაკვეთი ჩერვონეცის მან.
1.	300— 350-დე	5.
2.	350— 400-დე	8.
3.	400— 500-დე	11.
4.	500— 650-დე	15.
5.	650— 800-დე	21.
6.	800—1000-დე	31.
7.	1000—1250-დე	45.
8.	1250—1600-დე	70.
9.	1600—2000-დე	105.
10.	2000—2500-დე	155.
11.	2500—3000-დე	230.
12.	3000—3500-დე	315.
13.	3500—4000-დე	415.
14.	4000	480.

სამოცი მანეთის მომატებით თვითეულ 500 მანეთზე 4000 მანეთის ზევით.

12. ოჯახის თვითეული წევრი, რომელსაც აქვს [დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით ცალკე-ოჯახის მეთაურისაგან.

13. სახლის მეპატრონე ან სახლის მმართველობა ქალაქად, აგრეთვე საბინაო ამხანაგობის გამგეობა, სახლის გამგე, სახლის კომენდანტი, მეპატრონე ან მოიჯარადრე მოწყობილი ოთახებისა და სასტუმროსი—აცნობებს, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ვადებზე, სახლის მფლობელობის ადგილის ფინანსთა ინსპექტორს ყველა იმ პირთა სიას, რომელნიც მუდმივად სცხოვრობენ (აგრეთვე იმათ სიასაც, ვინც სიის შედგენის დროს არ იმყოფება ადგილობრივ დროებით) ამა თუ იმ სახლში და ღებულობენ შემოსავალს ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნულ წყაროთაგან და აგრეთვე ყოველგვარი საზოგადოების და ამხანაგობის გამგეობისა, კონტორისა და სააგენტოს სახლში მყოფ პირთა სიას.

14. ყველა დაწესებულება, რომელიც ამტკიცებს და რეგისტრაციაში ატარებს სავაჭრო-სამრეწველო და სხვა კომერციული საზოგადოების, საპაიო ამხანაგობისა და საკრედიტო დაწესებულების წესდებას, აცნობებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა საგადასახადო განყოფილებათ,—ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ დადგენილ ვადებზე,—ჩამოთვლილ საწარმოთა ნუსხას გამგეობათა ადგილმდებარეობის აღნიშვნით. აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ რეგისტრაციაქმნილ დასახელებულ იურიდიულ პირთა შესახებ ცნობა უნდა გაიგზავნოს დაუყოვნებლივ რეგისტრაციისთანავე.

15. ყოველგვარი კერძო სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებისა და ამხანაგობის ადმინისტრაცია და აგრეთვე სახელმწიფო. და კოოპერატიულ საწარმოთა და შრეულ საზოგადოებათა ადმინისტრაცია წარადგენს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საგადასახადო განყოფილებაში,—ამიერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადებზე,—ამხანაგობისა და მმართველობის ან საბჭოს წევრთა სიას და პაასა და ანაბარის მქონებელთა სიას მათი საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით.

16. სახელმწიფო, კომუნალური, პროფესიონალური და სხვა დაწესებულება და საწარმო და აგრეთვე საკაცო საზოგადოება და კომპანია, საკრედიტო დაწესებულება, ამხანაგობა, კოოპერატივი, კოოპერატივთა შენაერთი და მეპატრონე ან მოიჯარადე ცალკერძო საწარმოსი—ვალდებულია, ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადებზე, წარუდგინოს ფინანსთა ინსპექტორს ან ამერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის საგადასახადო განყოფილებას, უკეთუ ქალაქში არის რამდენიმე საფინანსო რაიონი, სია იმ პირთა, რომელნიც ღებულობენ მათგან რაიმე გასამრჯელოს ამ პირთა შედგენილობის მიხედვით, ამერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ დადგენილ ვადებზე. დასახელებულ სიებში აღნიშნულ უნდა იქნეს: ამ პირთა სახელი, მამის სახელი და გვარი, მათ მიერ საშენაწერო ნახევარწლის წინა ხანში მიღებული ჯამაგირისა და სხვა გასამრჯელოს როოდენობა, მათი სამსახურებრივი მდგომარეობა და საცხოვრებელი ადგილი.

17. თვითეული გადამხდელი, რომელმაც წინა ნახევარ წელიწადში ყველა წყაროდან მიიღო ისეთი შემოსავალი, რაც აღემატება დაწესებულ გადასახად დაუდებელ მინიმუმს—ვალდებულია, ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ განსაზღვრულ ვადებზე, წარადგინოს დეკლარაცია,—ამერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ დაწესებული ფორმით,—თავისი შემოსავლის შესახებ რაიონულ საგადასახადო კომისიაში.

18. საშემოსავლო გადასახადის გამოსაანგარიშებლად თვითეულ საგადასახადო რაიონში, ფინანსთა ინსპექტორის თავმჯდომარეობით მოიწყობა საშემოსავლო კომისია, რომელშიც შევლენ: ერთი წარმომადგენელი ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისა, ორი წევრი, რომელთაც ფინანსთა ინსპექტორის წარდგენით დანიშნავს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი გადამხდელთაგან და ერთი წარმომადგენელი პროფ. კავშირთა საბჭოსი ან სამეზრო პროფესიონალური ბიუროსი.

19. შესრულება საშემოსავლო სარაიონო საგადასახადო კომისიის დადგენილებისა, რომელსაც თავმჯდომარე არ ეთანხმება შეჩერებულ უნდა იქნეს და სამი დღის განმავლობაში საქმე გადაეცემა განკარგულებისათვის რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიას, რომელიც ვალდებულია იმავე ვადაში განიხილოს პროტესტი და დაადგინოს გადაწყვეტილება.

20. გადასახადის გამოსაანგარიშებლად იურიდიულ პირთათვის ამერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის საგადასახადო განყოფილებასთან მოიწყობა საშემოსავლო გადასახადის განსაკუთრებული კომისია, რომელშიც შევლენ: საგადასახადო განყოფილების მმართველი (თავმჯდომარე) გამგე პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილებისა და სათანადო განყოფილებისა, თითო წარმომადგენელი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან და პროფ. კავშირთა საბჭოსაგან, ორი წარმომადგენელი გადამხდელთაგან და აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსთა ინსპექტორი ამერიკაკავსიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის დანიშვნით.

21. გადასახადის გამოანგარიშების დროს საშემოსავლო საგადასახადო კომისია ხელმძღვანელობს გასულ ნახევარ წლისათვის მიღებულ გადამხდელთა დეკლარაციას შემოსავლის შეახებ.

22. დეკლარაციის დამატებად გადამხდელი ვალდებულია საშემოსავლო საგადასახადო კომისიის მოთხოვნით წარადგინოს სიტყვიერი ან წერილობითი ახსნა-განმარტება და დოკუმენტალური ცნობები (შემოსავალ-გასავლის დავთარი, კონტორის დავთარი და სხვა). გარდა ამ ცნობებისა, კომისია ხელმძღვანელობს მის განკარგულებაში არსებული ცნობებით გადამხდელთა შემოსავლის შესახებ.

23. მე-18 და მე-20 მუხლში აღნიშნული საშემოსავლო, სარაიონო საგადასახადო და განსაკუთრებული კომისიების დადგენილების გამო გადამხდელს შეუძლიან შეიტანონ საჩივარი რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიაში; უკანასკნელს თავმჯდომარეობს ამერიკაკავსიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებული ან მის მიერ საამისოდ რწმუნებული პირი, ხოლო წევრებად არიან: პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილების გამგე, იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი პროფ. კაგშირთა წარმომადგენელი და ერთი წარმომადგენელი გადამხდელთაგან. აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

24. თავმჯდომარე და წევრები სარაიონო საშემოსავლო საგადასახადო კომისიისა, მცოდნე პირი და ყოველი მონაწილე საგადასახადო საქმის წარმოებისა, რომელიც გაახმაურებს იმ ცნობათ, რაც შეეხება გადამხდელის ქონებრივ მდგომარეობას, საავალო ვალდებულებას, მოგებასა და შემოსავალს—მიიკემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საერთო სასამართლო წესისამებრ.

25. სიების წარუდგენლობისათვის, ისე, როგორც მათი თავის დროზე ჩაუბარებლობისათვის და მათში არა სწორი ცნობების აღნიშვნისათვის სახლის მეპატრონე ან სახლის მმართველობა დაჯარიმებულ იქნება არა უმეტეს 30 ჩერვონეცის მან. ასეთსავე პასუხს აგებენ იმავე დანაშაულობისათვის მთავრობის დაწესებულებათა თანამდებობის პირნი და კოოპერატიული ორგანიზაციებისა. კერძო საზოგადოებათა, კომპანიებისა, ამხანაგობათა და საკრედიტო დაწესებულებათა რწმუნებულნი, რომელთაც დაკისრებული აქვთ, ჩამოთვლილ ორგანიზაციათა სახელით, წარუდგენონ ამერიკაკავსიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებულ საგადასახადო განყოფილებას და ფინანსთა ინსპექტორს სხვადასხვა ცნობები და სიები.

26. გადამხდელს, რომელიც ამერიკაკავსიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადაზე არ წარადგენს დეკლარაციას (მუხ. 17), ამერიკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებული საგადასახადო განყოფილების დადგენილებით დადება ფულადი გადასახდელი 20 ჩერვონეცის მანეთის რაოდენობით. გადამხდელს, რომელიც სრულიად არ წარადგენს დეკლარაციას დაედება ფულადი გადასახდელი არა უმეტეს ამა მუხლში აღნიშნული გადასახდელის ორკეცი რაოდენობისა.

27. გადამხდელს, რომელიც არ წარადგენს ყველა საჭირო ცნობას (მუხ. 22) ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებული სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახადო განყოფილების დადგენილებით,—ფინანსთა ინსპექტორისაგან მიღებული ცნობების საუფველზე,—დაედება ფულადი გადასახდელი 30 ჩერვონეცის მანეთამდე.

28. საშემოსავლო გადასახადის დაწესებულებისათვის წარსადგენ დეკლარაციაში ან განმარტებაში წინასწარი შეცნობით არა სწორი ცნობების ჩვენებისათვის, გადასახადისაგან თავის განრიდების მიზნით და აგრეთვე იმავე მიზნით შემოსავლის წყაროს დამალვისათვის—დამნაშავეს, გარდა იმისა, რომ დაეკისრება სათანადო რაოდენობის თანხის შეტანა გადასახადის შესავსებად,—დაედება გადასახდელი, რაც არ უნდა აღემატოს მის მიერ დამალული თანხის ხუთჯერ გამოანგარებულ რაოდენობას.

29. 25—28 მუხლში აღნიშნულ გადასახდელს დაადებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებული საგადასახადო გაყოფილება ამ ცნობების მიხედვით, რასაც წარადგენს სათანადო ფინანსთა ინსპექტორი. საგადასახადო განყოფილების დადგენილება უნდა გამოეცხადოს დამნაშავეს, რომელსაც გადასახდელი დაედვა და უნდა მიეცეს ერთი კვირის ვადა მისაგებელის წარსადგენად. უკეთუ მისაგებელი შეტანილ იქნება, საქმე გადაეცემა სათანადო სასამართლო დაწესებულებას შემდგომი წარმოებისათვის იმ წესით, რაც დადგენილია ხაზინის ქონებისა და შემოსავლის წანაალმდეგ ჩადენილ დანაშაულისა და საზიანო მოქმედების საქმეთათვის. უკეთუ აღნიშნულ ვადაზე მისაგებელი შეტანილ არ იქნება გადასახდელი გადახდევინებულ უნდა იქნეს უდავო წესით.

30. გადამხდელი, რომელიც გადასახადის გამოანგარიშების დროს გამოტოვებულ იქნება, ან ახალ გარემოებათა მიხედვით გამოირკვევა, რომ იგი შეცდომით იქნა ცნობილი გადასახადის არ გადამხდელ პირად—დაიბეგვრება ხელახლად მთელი გამოტოვებული დროისათვის, ხოლო არა უმეტეს იმ სამი წლისათვის, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს შვცდომის გამოაშკარავების წელიწადს.

31. შემდგომი ინსტრუქციების შემუშავება და ცირკულიარული ინსტრუქტორობის გაწევა ადგილობრივი ორგანოებისათვის—დაეკისრება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია, „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. ოქტომბრის 3-ს თარიღის 226 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 94 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 26.

201. საოპერაციო წლის ვადის დაწესების შესახებ საკრედიტო დაწესებულებათა ანგარიშის შედგენისათვის.

რათა დაწესებულ იქნეს ერთიანობა საოპერაციო წლის ვადისა, რაც მიღებულია სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შემავალ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე—ამიერკავკასიის სოფ. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

1) დაწესებულ იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა საკრედიტო დაწესებულებისათვის და აგრეთვე შემნახველ-გამსესხებელი კასისათვის, საოპერაციო პერიოდი დავთრების წლიურ დასამთავრებლად და წლიური ბალანსისა და ანგარიშების შესადგენად—ოქტომბრის 1-დან სექტემბრის 30-დე, რომელ ვადასაც დაუკავშირდეს საერთო კრების მოწვევა წლიური ანგარიშის დასამტკიცებლად.

2)ფინანსთა სახალხო კომისარიატი თავისი სათანადო ორგანოების მეშვეობით ანხორციელებს ზედამხედველობას ამა დადგენილების სისწორით შესრულებისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. ოქტომბრის 3-ს თარიღის 226 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის სექტემბრის 27.

202. საპაპიროსო ქაღალდის აქციზით დაბეგვრის სისტემის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის თებერვლის 10 თარიღით და 7 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. ნაცვლად დაჭრილი საპაპიროსო ქაღალდის იმ საავეროებში აქციზით დაბეგვრისა, სადაც იგი მზადდება, დაწესებულ იქნეს აქციზით დაბეგვრა ფაბრიკებიდან გამოსაშვები და საზღვარგარეთიდან შემოტანილი საპაპიროსო ქაღალდისა ხვეულებად, ოზმებად, შენაკერებად და სხვაგვარ ჩანაწყობად.

2. პაპიროსის ქაღალდის აქციზის სადასაბეგვრო განაკვეთი დაწესებულ იქნეს ქაღალდის თვითეულ კვადრატულ მეტრზე 2 კაპ. ჩერვონეცის ანგარიშით.

3. ქაღალდის ფაბრიკიდან თამბაქოს და გილზის ფაბრიკისა და საავეროსათვის პირდაპირ გადასაცემად გამოშვებული საპაპიროსო ქაღალდი აქციზით არ უნდა დაიბეგვროს.

4. საზღვარგარეთიდან შემოტანილი საპაპიროსო ქაღალდისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი პირდაპირ გადაეცემა თამბაქოს და გილზის ფაბრიკას და საავეროს—აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს საბაჟოდან გამოშვების დროს; ამასთანავე დაჭრილი ან დაწყობილი პაპიროსის ქაღალდის ფურცლებად ანაკინძისა და შენაკერავისათვის აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს, როგორც საპაპიროსო ქაღალდის ხვეულისა, ოზმისა და სხვაგვარი ჩანაწყობისათვის.

5. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. ოქტომბრის 3-ს თარიღის 226 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის სექტემბრის 27.

203. ერთდროული აქციზის მტკიცე განაკვეთის რაოდენობის საჩერვონცო ანგარიშით დაწესების შესახებ იმ აღილების სასასმელო სავაჭროებისათვის სადაც ღვინის აღნუსხვა არა სწარმოებს.

ამ ჟამად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი ერთდროული აქციზის განაკვეთის შესახებ 1923 წ. აპრილის 23-ს თარიღითა და 41 №-რით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. ₾, ბ და გ—პუნქტის შესაცვლელად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ერთდროული აქციზის გადახდევინებისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი მტკიცე წლიური განაკვეთი საჩერვონცო ანგარიშით იმ ადგილების, სასასმელო სავაჭროებისათვის, სადაც ღვინის აღნუსხვა არა სწარმოებს.

ა., პირველი კატეგორიის ადგილისათვის—ოთხმოცდასამი და სამი მეათედი საჩერვონცო მანეთი.

ბ., მეორე კატეგორიის ადგილისათვის—ორმოცდა ათი საჩერვონცო მან.

გ., მესამე კატეგორიის ადგილისათვის—ოცდახუთი საჩერვონცო მანეთი.

ერთდროული აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს ჩერვონცებით ან ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით იმ დღის კურსით, რა დღესაც აქციზი იქნება გადახდევინებული.

დადგენილება ესე შედის მოქმედებაში მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1923 წლის ოქტომბრის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ოქტომბრის 3-ს თარიღის 226 №—ში.

დადგენილება № 94 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის სექტემბრის 27.

204. სამსახურის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში.

ცალკე დებულების გამოცემამდე სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში სამსახურის შესახებ და ამიერკავკასიის ფედერაციის რესპუბლიკებში ამ საკითხის შესახებ მომქმედი ყველა დებულების გასაუქმებლად—სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის პირი, ვისაც სასამართლოს განაჩენით ჩამორთმეული აქვს სახელმწიფო სამსახურში ყოფნის უფლება არ შეიძლება მიღებულ იქნეს ამ სამსახურში განაჩენით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

2. აეკრძალება სახელმწიფო სამსახურში ერთსა და იმავე დაწესებულებასა ან საწარმოში ყოფნა იმ პირთ, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ახლო ნათესავობით ან თვისებით (მშობლები, ცოლ-ქმარი, ძმები, დები, ვაჟიშვილები, ქალიშვილები და აგრეთვე ძმები, დები, მშობლები და ბავშვები ცოლ-ქმრისა), უკეთუ მათი ერთად სამსახური დაკავშირებულია ერთის ქვემდებარეობასთან მეორესადმი, ან ერთის მიერ კონტროლის გაწევასთან მეორესათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. გამონაკლისი მე-2 მუხლით დადგენილი წესისაგან შეიძლება მოხდეს იმ პირთათვის, რომელიც არჩევით უჭირავთ სახელმწიფოთ თანამდებობა ან ისეთი, რაც კონტროლის ქვეშ არის.

3. სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირს აეკრძალება პირადათ ან დამბმარე პირის მეშვეობით იყოს მონაწილე რაიმე კერძო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოსი, აიღოს იჯარა ან ნარდათ სამუშაო საქმე, მონაწილეობა მიიღოს საბრეწველო იჯარის ხელშეკრულებაში და რაიმე ფორმით დაიჭიროს სახელმწიფო დაწესებულებასთან და საწარმოსთან კომერციული ხასიათის ურთიერთობა და აგრეთვე იყოს ვექილად მესამე პირისა იმ დაწესებულებათა და საწარმოთა საქმეების გამო, სადაც იგი მსახურობს.

4. თანამდებობათა შეთავსება რამდენიმე სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში ან საწარმოში შეიძლება მხოლოდ ამ დაწესებულებათა ან საწარმოთა ხელმძღვანელების ურთიერთ შეთანხმებით, ხოლო შეთავსება სახელმწიფო სამსახურისა კერძო დაწესებულების ან საწარმოს სამსახურთან აკრძალულია.

5. შეთავსება თანამდებობისა სახელმწიფო დაწესებულებაში ან საწარმოში მეორე თანამდებობასთან ერთისა და იმავე ან სხვადასხვა დაწესებულებისათვის ან საწარმოსათვის —არ შეიძლება, უკეთუ ეს დაწესებულებანი, საწარმონი ან შეთავსებული თანამდებობანი არიან ერთმანეთთან: ა) საკონტროლო დამოკიდებულებაში, ბ) საადმინისტრაციო-სამეურნეო დამოკიდებულებაში.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება მთავრობის წარმომადგენელთა თანამდებობის დაჭერაზე საბჭოში, გამგეობაში და სარევიზიო ორგანოებში იმ საავქიო საზოგადოებათა და სხვა სამეურნეო შენაერთთა, რომელიც მოეწყობა სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით.

6. შეთავსება მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მოსამსახურეთა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინსპექტორებისა და კონსულტანტებისა, შრომის ინსპექციისა და სხვა საფუძებო ინსპექციის მოსამსახურეთა, რომელთაც მიკუთვნებული აქვთ მომკვლევ ორგანოთა უფლებანი, ფინანსთა სახ. კომისარიატის პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორებისა და აგენტებისა, სახალხო გამომძიებელთა და სახალხო მოსამართლეთა უზენაესი და საგუბერნიო სასამართლოების სასამართლო კოლეგიათა და სამხედრო და სატრანსპორტო ტრიბუნალების წევრების, საპროკურორო ზედამხედველობის პირთა და საგანგებო კომისიის თანაშრომელთა—შეიძლება მხოლოდ თავისი უფუფების ფარგლებში და მარტოოდენ უწყების მეთაურის სპეციალური ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

შენიშვნა. შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება ერთი კვირის განმავლობაში შეადგინოს ნუსხა იმ თანამდებობათა და სამუშაოთა, რომელთა ერთისა და იმავე დროს აღსრულება ჩაითვლება შეთავსებად მე-5 და მე-6 მუხლის აზრით.

7. დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელი, რომელიც ამა დადგენილების წესის საწინააღმდეგოდ მიიღებს ან დასტოვებს სამსახურში ვისმე—მი-

ცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც სამსახურებრივი დანაშაულობისათვის.

8. ამა დადგენილებაში აღნიშნული წესის დარღვევით სამსახურში მიღებული პირი დათხოვნილ უნდა იქნეს წინასწარ გაუფრთხილებლად და უკომპენსაციოდ.

ამის წინად სამსახურში მიღებული პირი, რომლის სამსახურში დატოვებაც ეწინააღმდეგება ამა დადგენილებას,—დათხოვნილ უნდა იქნეს შრომის კანონთა კოდექსის 28 მუხლის წესის დაცვით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ოქტომბრის 3-ს თარიღის 226—№-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 27.

205. საკანცელარიო გამოსაღების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. 1923 წ. აგვისტოს 22 თარიღით გამოცემული დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. სექტემბრის 2 ს თარიღის 201 №-ი) შესაცვლელად,—150,000 მ. (ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით) საკანცელარიო გამოსაღების ნაცვლად, ამა გამოსაღების განაკვეთი შემოღებულ იქნეს ჩერვონეცის ინგარიშით და დაწესდეს 5 (ხუთი) კაპიკი.

2. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაადგინოს სრულ ყოველთვიურად 1-სა და 15-ს რიცხვს კოეფიციენტი, რომლითაც გამრავლებული საკანცელარიო გამოსაღების განაკვეთი განსაზღვრავს ამა გამოსაღების რაოდენობას ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ოქტომბრის 3-ს თარიღის 226 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 27.

206. მარტივი საღერბო გამოსაღების განაკვეთის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. 1923 წლის აგვისტოს 22-ს თარიღის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“ № 201, 1923 წლის სექტემბრის 2) შესაცვლელად 100,000, 160,000, 600,000 და 1.000,000 მან. (ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით) მარტივი საღერბო გამოსაღების განაკვეთთა ნაცვლად—შემოღებულ იქნეს ამა გამოსაღების განაკვეთი, ჩერვონეცის ანგარიშით და დაწესდეს 5 კაპიკი, 10 კაპ., 75 კაპ. და 1 მან. და 25 კაპიკი.

2. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაიწესოს ხოლმე ყოველთვიურად 1-სა და 15-ს რიცხვს კოეფიციენტი, რომლითაც გამრავლებული საღერბო გამოსაღების განაკვეთთა განსაზღვრავს ამა გამოსაღების განაკვეთის როოდენობას ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ოქტომბრის 3-ს თარიღის 226 №-ში.

დადგენილება № 68 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატისა.

207. დახმარების მიცემის წესის შესახებ.

რათა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს 1922 წლის დეკემბრის 30-ს დეკრეტი (მუშა-მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ დროებითი შრომისუნარიანობის დაკარგვის ჟამს შრომაუუნარობის პირველი სამი დღის განმაელობაში) ერთნაირად იქნეს შეფარდებული ამიერკავკასიის რესპუბლიკებში,—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) დახმარება დროებითი შრომაუუნარობის გამო მუშაობის ან სამსახურის ადგილას—მიიცემა მარტოოდენ იმ შემთხვევაში, უკეთუ ავადმყოფობა, რომლის მიზეზითაც მონაწილე განთავისუფლებულია სამსახურისაგან—გრძელდება არა უმეტეს სამი დღისა.

2) ხოლო უკეთუ ავადმყოფობის ხანგრძლივობა სამ დღეს აღემატება დახმარებას ამ შემთხვევაში მისცემს სადასაზღვეო კასა პირველი დღიდანვე, როდესაც ავადმყოფი გაანთავისუფლა მუშაობისაგან იმ ექიმმა, რომელიც მას სწამლობდა.

შენიშვნა: ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ავადმყოფს ბიულეტენი არ მიეცემა და დახმარებას თავისი განაკვეთის როოდენობისას მიიღებს სამსახურის ან მუშაობის ადგილას საწარმოს ან დაწესებულების კონტორიდან ექიმის ბარათით, რაც შემოწმებულ უნდა იქნეს ქარხანა-ფაბრიკის ადგილმბრივი კომიტეტის მიერ. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფობა სამ დღეზე მეტს გრძელდება (მუხ. 2),—ავადმყოფს უნდა მიეცეს ბიულეტენი, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს შრომაუუნარობის დრო ავადმყოფობის პირველი დღიდან, რათა ეს წარადგინოს სადასაზღვეო კასაში.

ამიერკავკასიის შრომის
სახალხო კომისრის მოადგილე **ა. იაშვილი**
ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
სოციალური დაზღვევის მთავარი
სამმართველოს უფროსის მოადგილე **ბლიუმზაკი.**
ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ორლოვი-მალახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ეოსტოკას"-ს 1923 წლის ოქტომბრის 3-ს თარიღის 226 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 27.

208. მტკიცე სააქციზო განაკვეთის შემოღების შესახებ საფეიქრო მრეწველობის ნაწარმოებთათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა **საბჭო ადგენენ:**

1. აქციზით დაიბეგვრება: ა.,—საფაბრიკო საწარმოთა მიერ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამზადებული (მუხ. 3) და აგრეთვე უცხოეთიდან შემოტანილი ყოველნაირი ნართი და ყაქეული (ხამი აბრეშუმი); ბ.,—უცხოეთიდან შემოტანილი ყოველგვარი ქსოვილი და მისი ნაკეთობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. შინა-მრეწველობის ნართი და ყაკეული აქციზით არ დაიბეგვრება.

2. აქციზით დაიბეგვრება მცენარეულობისა და ცხოველის ჩინჩილის ყოველნაირი ნართი და ყაკეული (ხამი აბრეშუმი). აქციზ-დასადებ ქსოვილად ჩაითვლება ყოველგვარი ნაწარმოები საფეიქრო, საქსოვი, საწნავი, ნართისა და ყაკეულისა.

3. ნართისა და ყაკეულის დამმზადებელი საწარმო ჩაითვლება საფაბრიკო ხასიათის საწარმოდ: ა., უკეთუ საწარმოს ექნება სართავად ათზე მეტი ჯარა—ხუთ-ტაშტიანი—აბრეშუმის დასახვევად, ან ბ., უკეთუ საწარმოში საწარმოო იარაღების ასამოძრავებლად იხმარება მექანიკური ან ცხოველთა ძალა.

ნართისა ან ყაკეულის დამზადება ზემოაღნიშნული ამა თუ იმ პირობის გარეშე—ჩაითვლება შინ-მრეწველობის წარმოებად.

4. ნართისა ან ყაკეულის დამმზადებელი ყოველი საფაბრიკო საწარმო გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში არა-პირდაპირ გადასახადთა ქვე-განყოფილებაში.

5. პირველ მუხლში აღნიშნულ ნართსა, ყაკეულსა და ქსოვილს აქციზი გადაიხდება წონით (netto) იმის მიხედვით, თუ როგორია ძაფეული და მეწველული და ნართის №—რი, რა ქსოვილია და რა ღირსებისა,—ამა დადგენილების პირველ და მეორე დანართში აღნიშნული განაკვეთისამებრ.

6. ამა დადგენილების მე-5 მუხ. თანახმად მირიცხული აქციზი გასტუმრებულ უნდა იქნეს: ა., შინაწარმოების ნართისა და ყაკეულისათვის—მათი საფაბრიკო საწარმოდან გამოშვების დროს; ბ.—უცხოეთიდან შემოტანილი ნართისა, ყაკეულისა, ქსოვილისა და მათი ნაკეთობისათვის—საბაჟოდან გამოშვების დროს.

7. ამა დადგენილებით დაწესებული სააქციზო განაკვეთი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ჩერვონეცის მანეთით და შეიძლება გადახდევინებულ იქნეს ამერკავკასიის ფულის ნიშნებით გადახდის დღის კურსისამებრ.

8. აქციზ-დასადები ნართისა და ყაკეულის და აგრეთვე უცხოეთის ქსოვილის მარაგი,—რა რაოდენობისაც უნდა იყოს,—რაც ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოდების დღეს აღმოჩნდება საბაზისო და სავაჭრო საწყობსა და სავაჭროში და აგრეთვე ნევოსადგურზე, რკინისგზის სადგურზე, საბაჟო საწყობში და სხვა შენახვის ადგილას,—დაიბეგვრება აქციზით: მოკავშირე რესპუბლიკებიდან შემოტანილი—ამ განსხვავების რაოდენობით, რაც იქნება უკვე გადახდილ აქციზსა და ახლად დაწესებულ აქციზს შორის, ხოლო ადგილობრივი და უცხოეთიდან შემოტანილ —ამა დადგენილებით დაწესებული განაკვეთის რაოდენობით.

9. საერთო ხელმძღვანელობა იმ საქმისა, რაც შეეხება საფეიქრო მრეწველობის ნაკეთობათა აქციზის აკრეფას, დაეკისრება ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

10. ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს ხოლმე წესები და ინსტრუქციები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. **სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. **ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ბ. **თალიბელი.**

227 № ში.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. ოქტომბრის 4-ს თარიღის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1.

სააქციზო განაკვეთის ტარიფი ნართისა და ყაჭულისათვის.

№№ რიგზე.	ნ ა რ თ ი.	აქციზი ჩერვონეცის მანათით.			
		გირვანქაზე.		კილოგრამზე.	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
	1. ბამბის ნართი.				
1	არა უმაღლეს მე-9 №-რისა.	—	1	—	2,5
	ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გასატანად	—	2	—	4,9
2	მე-9 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 29 №-რისა	—	2,2	—	5,4
	ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გასატანად	—	4,4	—	10,7
3	29 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 39 №-რისა	—	6,6	—	16
4	39 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 49 №-რისა	—	13,2	—	32,2
5	49 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 79 №-რისა	—	31	—	76
6	79 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 99 №-ოისა	—	53	1	30
7	99 №-ზე უმაღლესი	—	88	2	15
	2. ვიგონის ნართი.				
1	არა უმაღლეს მე-9 №-რისა	—	3,3	—	8
2	მე-9 №-ზე უმაღლესი.	—	6,6	—	16
	3. სელისა და ქერელის ნართი.				
1	არა უმაღლეს მე-6 №-რისა	—	1,7	—	4,2
2	მე-6 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს მე-10 №-რისა	—	2,2	—	5,4
3	მე-10 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს მე-12 №-რისა	—	3,3	—	8
4	მე-12 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს მე-14 №-რისა	—	5,3	—	12,9

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე.	ნ ა რ თ ი.	აქციზი ჩერვონეცის მანეთით.			
		გირვანქაზე.		კილოგრამზე.	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
5	მე-14 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს მე-20 №-რისა	—	6,6	—	16
6	მე-20 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 22 №-რისა	—	8	—	19,5
7	22 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 24 №-რისა	—	9,3	—	22,7
8	24 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 30 №-რისა	—	13,2	—	32,2
9	30 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს მე-40 №-რისა.	—	20	—	49
10	40 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს მე-60 №-რისა	—	37,5	—	91,5
11	მე-60 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს მე-80 №-რისა	—	62	1	51
12	მე-80 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს მე-100 №-რისა	1	42	3	46
13	მე-100 №-ზე უმაღლესი.	1	60	3	90
	4. ბაგირისა და ქერელის ნართი . . .	—	1,3	—	3,2
	5. ჯუთისა	—	4,4	—	10,7
	6. მატყლის კამვოლის ნართი (ფრანგ. დართ.).				
1	არა უმაღლესი, 37 №-რისა	—	88	2	15
2	37 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 57 №-რისა	1	06	2	59
3	57 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 77 №-რისა.	1	46	3	56
4	77 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 82 №-რისა.	1	76	4	29
5	82 №-ზე უმაღლესი	2	20	5	37
	7. მატყლის კამვოლის ნართი (ინგლის. დართ.).				
1	არა უმაღლესი მე-8 №-რისა.	—	10,6	—	25,9
2	მე-8 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს მე-14 №-რისა.	—	17,7	—	43,2

№№ რიგზე.	ნ ა რ თ ი.	აქციზი ჩერვონეცის მანათით.			
		გირვანქაზე.		კილოგრამზე.	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
3	მე-14 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს მე-20 №-რისა.	—	26,5	—	64,7
4	მე-20 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 27 №-რისა	—	39	—	95
5	27 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 34 №-რისა	—	53	1	29
6	34 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 37 №-რისა	—	70,5	1	72
7	37 №-ზე უმაღლესი, ხოლო არა უმაღლეს 57 №-რისა	—	88	2	15
8	57 №-ზე უმაღლესი	1	32	3	22
	8. მატულის სააპარატო ნართი.				
1	არა უმეტეს 2 შულოსი.	—	3,8	—	9,2
	ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გასატ.	—	7,5	—	18,3
2	2 შულოზე მეტი, ხოლო არა უმეტეს 3-სა. .	—	5,3	—	13
	ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გასატ.	—	10,6	—	25,9
3	3 შულოზე მეტი, ხოლო არა უმეტეს 5-სა. .	—	6,6	—	16,1
	ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გასატ.	—	13,2	—	32,2
4	5 შულოზე მეტი, ხოლო არა უმეტეს 7-სა .	—	17,7	—	43,2
5	7 „ „ „ „ „ 9-სა .	—	24,2	—	59
6	9 „ „ „ „ „ 12-სა .	—	33	—	80,5
7	12 „ „	—	53	1	29
	9. აბრეშუმის ნართი.				
	ბურ დე სუა (ან შაპპ) 1) 100	2	65	6	47
	„ „ „ „ 2) 200	4	40	10	74
	„ „ „ „ 3) 300	6	60	16	10
	ბურრეტ	—	70,5	1	72

№№ რიგზე.	ნ ა რ თ ი.	აქციზი ჩერვონეცის მანათით.			
		ბერვანქაზე.		კილოგრამზე.	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
	10. ყაჭეული. (ხამი აბრეშუმი).				
	სატისსაჟო	3	30	8	05
	ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გასატ.	6	60	16	10
	სხვაგვარი	1	32,5	3	23,5
	ხოლო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გასატ.	2	65	6	47
	11. ხელოვნური აბრეშუმი.	2	65	6	47

შენიშვნები 1. ამა ტარიფის მე-2 მუხლისამებრ დაიბეგვრება ის ნართი, რომელსაც ურევია მატყლი არა უმეტეს 15%-სა, ხოლო ვიგონის ნართი, რომელსაც ურევია მატყლი 15%-ზე მეტი, დაიბეგვრება ამა ტარიფის მე-6 მუხლისამებრ.

2. ვიგონის დათენთილი ნართი, რომელსაც მატყლი არ ურევია, დაიბეგვრება ამა ტარიფის 1-ლი მუხლისამებრ.

3. ამა ტარიფში ცალკე არ აღნიშნული ნარევი ნართი, რომელიც დამზადებულია რამდენიმე ჩინჩილის მასალისაგან, აქციზით დაიბეგვრება ტარიფის იმ მუხლისამებრ, რომელიც შეესაბამება ნართში ნარევ, აქციზის უმაღლესი განკვეთით დაბეგვრილ, მასალას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ოქტომბრის 4-ს თარიღის 227 №-რში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 2.

№№ რიგზე	ᲫᲚᲝᲕᲘᲚᲘ.	აქციზი ჩერვონეცის მანეთით			
		ვირვინკაზე		კილოგრამზე	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1	ბამბის ქსოვილი, ცალკე არ აღნიშნული, დამზადებული უბრალო ნართისაგან (თუნდაც დაგრეხილი ნართის ნაწიბურიანი ორმაგი კიდით ან მეტითაც)				
	1. ტილოსებრ გადაწნული ქსოვილი, რომლის ერთი გირვანქა წონა შეიცავს არა უმეტეს 8 კვადრ. არშინისა და რომელსაც ერთ კვადრატ დიუმზე აქვს ერთად ძირითადი და საუჯრედო:				
	ა., 152-ზე არა უმეტესი ძაფი	7			17
	ბ., 152-ზე უმეტესი ძაფი	19,5			47,5
	2. ქსოვილი ყოველგვარი გადაწნულობისა, ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულის გარდა, რომლის ერთი გირვანქა წონა შეიცავს 12 კვადრ. არშინზე არა უმეტესს და რომელსაც ერთ კვადრ. დიუმზე აქვს—ერთად—ძირითადი და საუჯრედო:				
	ა., 240-ზე არა უმეტესი ძაფი	33,5			82
	ბ., 240-ზე უმეტესი ძაფი	48,5		1	18
	3. ქსოვილი ყოველგვარი გადაწნულობისა და ყოველგვარი სიმკვრივისა, რომლის ერთი გირვანქა წონა შეიცავს 12 კვადრ. არშინზე მეტს.	70,5		1	72
2	ბამბის ქსოვილი განსაკუთრებული ნაკეთობისა	53		1	29
3	**ბაგირი, ბაწარი, თოკი და ბადეულობა.**				
	ბაგირი, თოკი, ბაწარი—ჯუთისა, კანაფისა, ქერელისა, სელისა, ქერელისა ან სელის ქსოვილისა, ფიჰვის მატყლისა, რამისა, ჭინჭრის ჩინჩილისა და სხვ. მცენარეული ჩინჩილის მასალის, გაფისული და გაუფისავი.	4,5		11	
	2. **ბადე:**				
	ა., ბამბისა	6		14,5	
	ბ., სელისა და ჯუთისა.	8		19,5	
4	ჯუთისა, კანაფისა, ქერელისა და სელისაგან				

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე.	ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘ.	აქციზი ჩერვონეცის მანათით.			
		გირვანქაზე.		კილოგრამზე.	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
	დამზადებული: ტომრები, სატომრე და საპარკე ქსოვილები, საიატაკო საფენი და მანქანების საწმენდი სალფეტკი.		2		4,9
5	ქსოვილი სელისა, ქერელისა, ჯუთისა, კანაფისა, ფიჭვის მატყლისა, რამისა, ახალი ზელანდიის სელისა, მანილის ქერელისა, ჭინჭრის ჩინჩილისა და სხვ. მცენარეულობის მასალისა, რაც სელისა და ქერელის მაგიერობას ეწევა:				
	1. ხალიჩისა, ავეჯეულობისა, ფარდებისა, ვაგონისა და სხვ. მძიმე ქსოვილი		13		32
	2. სატანისამოსო ქსოვილი: კოლომენკა, ჭილობის მაგვარი, დრელი სატინი, კუტელი, დიოგანალი და სხვ.		17,5		43
	3. მაგიდისა და საავეჯო სუფრა, სალფეტკი და პირსახოცი		31		76
6	ტილო (და ბატისტი) დაუგრეხავი ნართისა, სელის, ქერელის და სხვ. ჩინჩილის მასალისაგან, რაც აღნიშნულია მე-5 მუხ.				
	1. ყველა, გარდა ამა მუხლის მე-2 პუნ. აღნიშნულისა		44	1	07
7	2. ცხვირსახოცი, თუნდაც დაუჭრელი . . . ლიფი და მუშამბა (აბრეშუმისა და ნახევრად—აბრეშუმის გარდა) და მათი ნაკეთობა, ცალკე არ-აღნიშნული: ქსოვილი პრობკის მასსით გაპოხილი (ლინოლეუმი), სღებავით დაფერილი და გაფისული, აგრეთვე ყოველგვარი—მანქანით გატკეეცილი, გაქონილი ბრტყელ-ბრტყელ ნაჭრად, ხვეულად და სხვ. ამისთ. რამ, გაფისული და გაქონილი ქსოვილისაგან დამზადებული, ბრეზენტი, ქერელისაგან გაკეთებული ცეცლის საქრობი მილი, ქერელის ვედრო, ქერელისა და ბამბის მამოძრავებელი ღვედი . . .		70,5	1	72
8	აბრეშუმის ქსოვილი და სალეჩაქე	3	35,5	8	19
9	ლიფი და მუშამბი აბრეშუმისა და ნახევარ-აბრეშუმისა	2	12	5	17
			4,5		11

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ ოდენ	ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘ.	აქციზი ჩერვონეცის მანათით.			
		გირვანქაზე.		კილოგრამზე.	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
	ნახევარ აბრეშუმის ქსოვილი	1	76,5	4	31
10	მატყლის ჩული და ჩულის ნაქსოვი, ცალკე არ-აღნიშნული საგნები, მატყლის ჩულისაგან გამოჭრილი.		35,5		86,5
11	მატყლის ქსოვილი, ცალკე არ-აღნიშნული.				
	1. ქსოვილი, რომლის ერთი გირვანქა წონა 2 კვადრ. არშინზე ნაკლებს შეიცავს . .		70,5	1	72
	2. ქსოვილი, რომლის ერთი გირვანქა წონა შეიცავს 3 კვადრ. არშინამდე.	1	06	2	59
	3. ქსოვილი, რომლის ერთი გირვანქა წონა შეიცავს 3 კვადრ. არშინს და მეტსაც, აგრეთვე ყოველგვარი ქსოვილი, ნაგრეხი ძაფის სახიანი ნართისაგან დამზადებული. .	1	50	3	66
12	აქლემის მატყლისაგან დამზადებული ამამძრავებელი ღვედი.		22		54
13	მატყლის უთავბოლო ნაქსოვი ფაბრიკაში სახმარებლად.		17,5		42,5
14	მატყლის ყოველგვარი ხალიჩები და სახალიჩე მასალა, რომლის ერთი გირვანქა წონა შეიცავს არა უმეტეს $^{4}/_{5}$ არშინისა		53	1	29
15	მატყლის ფესი კილიტებით მოქარგული ან უამისოდ, ცალზე	1	06	2	59
16	ნაქარგი, დაწნული და საყითნო ნაკეთობა:				
	1. ნაჯარგი ნაკეთობა, თუნდაც ნაკერი ეტყობოდეს:				
	ა., აბრეშუმისა და ნახევარ-აბრეშუმისა.	2	65	6	47
	ბ., ყოველგვარი სხვა,—ცალკე არ-აღნიშნული.		70,5	1	72
	2. საყაითნო ნაკეთობა, როგორიც არის მაგალითად: ზონარი, ჩაფრასტი, არშია, ბოჭკო, ფუნჯი, გარნიტურით (ღილები, ბალთები და სხვ.) და სხვ. ამისთ.; აგრეთვე დაწნული ნაკეთობა, რომელთაც ბაბთის სახე არა აქვს (ბადე-ბაქმანი):				
	ა., აბრეშუმისა და ნახევარ-აბრეშუმისა.	2	20,5	5	38
	ბ., ყოველგვარი სხვა,—ცალკე არ-აღნიშნული.		53	1	29

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე.	ᲫᲡᲝᲕᲘᲚᲘ.	აქციზი ჩერვონეცის მანათით.			
		გირვანქაზე.		კილოგრამზე.	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
17	სალეჩაქე ნაკუწად და ნაჭრად, ცალკე არ-აღნიშნული:				
	ა., ბამბისა, საფარდე სახიანი		75,5	1	72
	ბ., ყოველგვარი სხვა, ცალკე არ-აღნიშნული.		88,5	2	16
18	ბაფთი და წნული ნაკეთობა, ბაფთის მაგვარი (ბადე-ბაქმანის სახისა):				
	1. აბრეშუმისა და ნახევარ აბრეშუმისა . . .	8	83	21	54
	2. ყოველგვარი სხვა, ცალკე არ-აღნიშნული. .	2	20,5	5	38
19	ნაქარგი, ნაქარგი ქსოვილი და სალეჩაქე:				
	1. აბრეშუმისა, აბრეშუმ-ნარევი, ოქრო-ნარევი, ვერცხლ-ნარევი, ბრუყვიალა	3	09	7	54
	2. ყოველგვარი სხვა, გარდა ამა მუხ. 1 პუნ. აღნიშნულისა:				
	ა., ნაქარგი აბრეშუმით, ოქროთი, ვერცხლით და ბრუყვიალა	1	32,5	3	23
	ბ., ნაქარგი უბრალო მასალით		70,5	1	72

შენიშვნა 1. ამა ტარიფში ცალკე არ-აღნიშნულ ნარევ ქსოვილს, რამდენიმე ჩინჩილის მასალისაგან დამზადებულს, აქციზი უნდა დაედოს ტარიფის იმ მუხლის თანახმად, რომელიც შეესაბამება ქსოვილში ჩანართავ, აქციზის უმაღლესი განაკვეთით დაბეგვრილ, მასალას

2. ხელოვნური მატყლის და ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილი დაიბეგვრება აქციზით იმავე საფუძველზე, როგორც მატყლისა და აბრეშუმის ქსოვილი.

3. უცხოეთიდან შემოტანილი შემზადებული ან სრულიად მზა თეთრეული და ტანსაცმელი, იმ ქსოვილისა, რომელსაც აქციზი აქვს დადებული, უნდა დაიბეგვროს აქციზით ამა ტარიფის იმ მუხლის თანახმად, რომელიც შეესაბამება ნაკეთობაში ჩანართავ, აქციზის უმაღლესი განაკვეთით დაბეგვრილ, მასალას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ოქტომბრის 4-ს თარიღის 227 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 27.

209. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო თანხის შემცირების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საწალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასალხო კომისართა საბჭოებს შეამცირონ ხოლმე 10 პროცენტზე არა უმეტესი რაოდენობით საერთო თანხა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა უღარიბეს გლეხთა მოსახლეობის გასანთავისუფლებლად ამა გადასახადისაგან, იმ პირობით კი, რომ, გარდა ამ ათ პროცენტიანი შეღავათისა, დანარჩენი გადასახადის ასი პროცენტი აუცილებლად გადახდევინებულ იქნეს.

2. დღემდე კანონმდებლობითი წესით მიღებული დაბლა დაწევა მოსავლიანობისა უმთავრესად გავრცელებულ იქნეს გლეხთა უღარიბეს მოსახლეობაზე.

3. შემდგომი დაწევა მოსავლიანობისა შეუძლებლად იქნეს ცნობილი.

4. იმ შემთხვევაში, უკეთუ რაიმე სტიქიური უბედურება მოხდება, საჭიროა თვითეული ასეთი შემთხვევა ცალკე იქნეს განხილული საგადასახადო შეღავათის მინიჭებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ოქტომბრის 5-ს თარიღის 228 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 27.

210. ყვითელი ფოთოლ-თამბაქოს აქციზით დაბეგვრის შეცვლისა და მოსაწევი თამბაქოსა და პაპიროსის მტკიცე განაკვეთის შესახებ ჩერვონეცის ანგარიშით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის თებერვლის 10-ს თარიღითა და 7 ნომრით გამოცემული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების 31 მუხლისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მაისის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 1 განყოფილების 10 მუხლის შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ნაცვლად საწყობიდან ფაბრიკაში გადასამუშავებლად გადასული ყვითელი (არა წეკო) ფოთოლი თამბაქოს აქციზით დაბეგვრისა, დაწესდეს დაბეგვრა მზა ნაკეთობისა (მოსაწევი თამბაქო, პაპიროსი) ამ უკანასკნელის თვითეული სახის განაწილებით სამ ხარისხად: უმაღლესი, პირველი და მეორე.

2. შემოღებულ იქნეს შემდეგი მტკიცე განაკვეთი მოსაწევი თამბაქოს და პაპიროსის აქციზისა ჩერვონეცის ანგარიშით და აქციზი გადახდეევნებულ იქნეს ჩერვონეცით ან ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით გადახდის დღის კურსისამებრ.

ა. ადგილობრივი წარმოებისა.

მოსაწევი თამბაქო (არა წეკო):

ა) უმაღლესი ხარისხი—2 მანეთი და ოცდახუთი კაპიკი გირვანქაზე, ან ხუთი მან. და ორმოცდაათი კაპ. კილოგრამზე; ბ) პირველი ხარისხი—ერთი მანეთი და 5 კაპ. გირვანქაზე, ან ორი მანეთი და ორმოცდა თექვსმეტი კაპ. კილოგრამზე; გ) მეორე ხარისხი—ორმოცდახუთი კაპიკი გირვანქაზე, ან ერთი მან. და ათი კაპიკი კილოგრამზე:

პაპიროსი ათას ცალზე:

დ) უმაღლესი ხარისხი—სამი მან. და ოცდახუთი კაპიკი; ე) პირველი ხარისხი—ორი მან. და ოცდახუთი კაპიკი; ვ) მეორე ხარისხი—ერთი მან. და ოცდახუთი კაპიკი.

შენიშვნა: აქციზის გადახდის დროს „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ პუნქტში აღნიშნული რაოდენობებით,—გადახდილი აქციზი საშუალოდ უნდა იყოს არა ნაკლებ ერთი მანეთისა გირვანქაზე, ან ორი მანეთისა და ორმოცდაოთხი კაპიკისა კილოგრამზე—მოსაწევი თამბაქოსათვის და არა ნაკლებ ერთი მანეთისა და ორმოცდაათი კაპიკისა—ათასი ცალი პაპიროსისათვის.

ზ) დამატებითი აქციზი საპაპიროსო სახელოსნოში დამზადებული პაპიროსისათვის არის—ოცდაექვსი კაპიკი; თ) წეკო—ცამეტი კაპიკი გირვანქაზე, ან ოცდათორმეტი კაპიკი კილოგრამზე; ი) სიგარა—თექვსმეტი მანეთი ათას ცალზე; კ) სიგარეტი—ექვსი მანეთი ათას ცალზე; ლ) წეკოს პაპიროსი—ოთხმოცი კაპიკი ათას ცალზე.

ბ. უცხოეთის წარმოებისა.

ა) მოსაწევი თამბაქო და ბურნუთი ყველა ხარისხისა—ოთხი მანეთი გირვანქაზე, ან ცხრა მანეთი და სამოცდახუთმეტი კაპ. კილოგრამზე; ბ) პაპიროსი ყველა ხარისხისა—რვა მანეთი ათას ცალზე; გ) სიგარა—ორმოცდახუთმეტი მან. ათას ცალზე; დ) სიგარეტი—ოცი მან. ათას ცალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. პაპიროსის აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს დადგენილი ორდინარული რაოდენობით მხოლოდ ის შემთხვევაში, უკეთუ თამბაქოს წონა ათას ცალ პაპიროსში არ აღემატება შემდეგ ფარგლებს: უმაღლესი ხარისხის პაპიროსისათვის—1 და სამი მეოთხედ გირვანქას, პირველი ხარისხის პაპიროსისათვის—1 ნახ. გირვანქას და მეორე ხარისხის პაპიროსისათვის—1 და ერთი-მეოთხედ გირვანქას. უმაღლეს ხარისხის პაპიროსს წონით 1 და სამ მეოთხედ გირვანქიდან 3 ნახევარ გირვანქამდე, პირველი ხარისხისას წონით 1 ნახ. გირვანქიდან 3 გირვანქამდე და მეორე ხარისხისას წონით 1 და ერთი მეოთხედ გირვანქიდან 2 ნახ. გირვანქამდე—აქციზი დაიდება სათანადო განაკვეთის ორკეცი რაოდენობით. გაკეთება ისეთი პაპიროსისა, რომელიც წონით აღემატება სათანადო ხარისხისათვის ზემოაღნიშნულ ფარგლებს—3 ნახ. და 2 ნახ. გირ.—აღკრძალულია.

4. ხელახლად აღნუსხვის დროს თამბაქოს ნაკეთობისა,—რაც ამა დადგენილების სამოქმედოთ შემოღების დროისათვის აღმოჩნდება საფაბრიკო მაღაზიებში, სავაჭრო საწყობებსა და საწარმოში,—მის დასაბეგრად აქციზის ახლად დაწესებულ განაკვეთსა და წინანდელი განაკვეთის შორის არსებული განსხვავების რაოდენობითა,—მოსაწვევი თამბაქო (არა ფეკო) და პაპიროსი, გამოშვებული ამა დადგენილების სამომქმედოდ შემოღებამდე სავაჭროში დაწესებული სხვადასხვა ხარისხის სახელწოდებითი—მიეკუთვნება ახლად დაწესებულ უმაღლეს, პირველ და მეორე ხარისხებს იმ საფუძველზე, რასაც შეიტუშავებს ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

5. ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

6. ამა დადგენილების სამოქმედოთ შემოღების ვადას დაიწესებს ამერიკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ოქტომბრის 5-ს თარიღის 228 №-ში.

დადგენილება № 95 ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის სექტემბრის 27.

211. ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ სამეცნიერო დაწესებულებათა მისამართით წარგზავნილი წერილებისა, ბანდეროლისა და ამანათის ფოსტით უფასოდ გაგზავნის შესახებ.

ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს საფოსტო გამოსაღებისაგან წერილი—წონით ერთ გირვანქამდე,—ბანდეროლი დადგენილი წონისა—და ამანათი—უფასო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წონით არა უმეტეს ერთი ფუთისა,—რომელიც გადაეცემა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საფოსტო დაწესებულებებს და რომელიც გაგზავნილი იქნება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ სამეცნიერო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მისამართით.

2. ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს დაეკალება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა განათლების სახ. კომისარიატებთან შეთანხმებით შეადგინოს სია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული დაწესებულებებისა და გამოაქვეყნოს იგი ცალ-ცალკე თვითეული რესპუბლიკისთვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდ. დროებ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდ. დროებ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. ოქტომბრის 6-ს თარიღის 229 №—ში.

დადგენილება № 96 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის სექტემბრის 27.

212. სამაჟო-სატარიფო კომისიის დაარსების შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან.

სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსდეს ამიერკავკასიის სოც. ფედ საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან სამაჟო-სატარიფო კომისია, რომელშიაც შეეკლნენ: ამიერკავკასიის სამაჟო სამმართველოს უფროსი თავმჯდომარედ, ხოლო წევრებად: ორი წარმომადგენელი ამიერკავკასუის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი და თითო წარმომადგენელი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი, ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსი და ამიერკავკასიის ცენტროკავშირისა.

შენიშვნა. წარმომადგენელი სხვა უწყებისა და დაწესებულებისა, რომელიც ამა მუხლში მოხსენებული არ არის—მოწვეულ იქნება კომისიაში გადაამწყვეტი ხმის უფლებით მარტოოდენ იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიის მიერ განსახილველი საკითხი შეეხება ამა თუ იმ უწყების ან დაწესებულების კომპეტენციას.

2. საბაჟო-სატარიფო კომისიას დაეკისრება: ა) შემუშავება საკითხებისა არსებული საბაჟო-სატარიფო განაკვეთის შეცვლის შესახებ; ბ) მიცემა დასკვნისა იმ ბაჟის მოხსნის შესახებ, რაც ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებისამებრ შედის კომისიაში ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მეშვეობით; გ) განხილვა საკითხებისა, რასაც აღძრავენ ცალკე საბაჟოები საქონლისათვის ტარიფის შეფარდების შესახებ და დ) გადაწყვეტა იმ საჩივრისა, რაც წარდგენილი იქნება საბაჟოთა საბჭოების მიერ ტარიფის შეფარდების შესახებ მიღებული დადგენილების გამო.

3. საბაჟო-სატარიფო კომისიის დადგენილება მე-2 მუხლის ლიტერ „ა"-ში აღნიშნული საკითხების შესახებ, ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ, წარედგინება სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მეშვეობით; საბაჟო-სატარიფო კომისიის დადგენილება მე-2 მუხლის ლიტერ „გ" და „დ"-ში აღნიშნული საკითხების შესახებ მოყვანილ იქნება სისრულეში ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განკარგულებით და მარტოოდენ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი პროტესტს განაცხადებს,—დადგენილება იგი წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

4. საბაჟო-სატარიფო კომისიის სხდომა კანონიერია, როდესაც დამსწრეთა რიცხვი კომისიის წევრთა ნახევარზე ნაკლები არ არის. კომისიაში განსახილველი ყველა საკითხი გადასწყდება დამსწრე წევრთა ხმის მარტივი უმრავლესობით.

5. საბაჟო-სატარიფო კომისიას თავისი ტექნიკური აპარატი არა აქვს და გამოიყენებს საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის აპარატს.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ოქტომბრის 6-ს თარიღის 229 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის ოქტომბრის 1.

213. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინებისა და კომუნალური სამსახურისათვის სასყიდლის შესახებ დიდ ქალაქებში

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ჩერვონეცით გამოანგარიშებული კომუნალური სამსახურის სასყიდლისა და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა გასტუმრების წესის შესახებ ამა წლის აგვისტოს 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 11 §-ის განსავითარებლად—ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ნება მიეცეს ტფილისისა, ბაქოს, ერევანისა, ბათომისა და სოხუმის აღმასრულებელ კომიტეტებს და კომუნალური მეურნეობის განყოფილებათ ჩერვონცით გამოანგარიშებული კომუნალური სამსახურის სასყიდლისა და აგრეთვე ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინება მოახდინონ ოფიციალური კურსით, რასაც წინა დღით დაადგენს ბირჟის კრება სათანადო ბირჟისა.

2. დადგენილება ესე შედის ძალაში ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

ამიერკავკასის ფინანსთა
სახალხო კომისრის მაგიერ **გენკინი.**

სავალიუტო სამმართველოს უფროსი **ა. საფარიანი.**

საგადასახადო სამმართველოს
უფროსის მოადგილე **ხახანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ოქტომბრის 7-ს თარიღის 230 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წლის ოქტომბრის 1.

214. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიების დებულების შეცვლის შესახებ.

საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიების დებულების („ზარია ვოსტოკა“ № 88 1923 წ.) II კარის მე-5 მუხლის I შენიშვნის შესაცვლელად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიების დებულების II კარის მე-5 მუხლის I შენიშვნა შეიცვალოს და შესდგეს შემდეგი რედაქციით:

„საჩივარი და პროტესტი საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიების დადგენილებათა და განკარგულებათა გამო წარედგინება რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს კუთვნილებისამებრ, რომელთა გადაწყვეტილებაც საბოლოოდ ჩაითვლება

ამერიკაკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა**

ამერიკაკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი.
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ოქტომბრის 9-ს თარიღის 231 №-ში.

დადგენილება ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

215. საღერბო მარკების შეფასების შესახებ.

ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მარტივი საღერბო გამოსაღებისა და აგრეთვე საკანცელარიო გამოსაღების განაკვეთის ჩერვონეცის ანგარიშზე გადატანის შესახებ 1923 წლის სექტემბრის 27-ს გამოცემული დადგენილების განსამარტებლად, ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ყველა საკასო დაწესებულებას, რომელიც ჰყიდის მარკებს, ვიდრე იგი მიიღებდეს ჩერვონეცის ანგარიშით დამზადებულ მარკების ახალ მარაგს, განაგრძოს მის მიერ ქონებული წინანდელი ფორმის საღერბო მარკების გაყიდვა ჩერვონეცის იმ კურსით, რასაც დააწესებს ფინანსთა სახალხო კომისარიატი. მარკების გაყიდვა უნდა მოხდეს შემდეგი ანგარიშით:

საღერბო მარკა	40.000	მანათიანი=	5 ჩერვ. კაპიკს
საკანცელ. მარკა	75.000	მანათიანი=	5 ჩერვ. კაპიკს
საღერბო მარკა	60.000	მანათიანი=	10 ჩერვ. კაპიკს
საღერბო მარკა	300.000	მანათიანი=	75 ჩერვ. კაპიკს
საღერბო მარკა	500.000	მანათიანი=	1 მან. და 25 კაპ. ჩერვონეცით.

ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოს და აგრეთვე კერძო ფირმასა და პირს წინადადება ეძლევა, ვიდრე გამოიცემოდეს ამერიკაკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცალკე განკარგულება, განაგრძოს სარგებლობა წინანდელი ფორმის საღერბო მარკებისა ზემოაღნიშნული ანგარიშით.

ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
ფინანსთა სახალხო კომისრის მაგიერ **ე. გენკინი.**

საგალიუტო სამმართველოს უფროსი **ა. საფარიანი.**

საგადასახადო სამმართველოს უფროსის
თანამდებობის აღმასრულებელი **ვ. ხახანაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის ოქტომბრის 10-ს თარიღის 232 №-ში,

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განმარტება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის ოქტომბრის 8.

216. სხვადასხვა კომისიების სხდომათა ექსპერტებისა და მონაწილეთა სასყიდლის შესახებ.

რადგანაც შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები ხშირად ღებულობენ შეკითხვას სხვადასხვა საუწყებო და საუწყებათაშორისო კომისიების სხდომების ექსპერტთა და მონაწილეთა. შრომის სასყიდლის ნორმის შესახებ,—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

1. უკეთუ სხდომა სწარმოებს სამუშაო დროის გარეშე,—სასყიდელი მონაწილეობისათვის გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ზედმეტი მუშაობის სასყიდლის საერთო წესის მიხედვით; ამასთანავე სასყიდელს გადაიხდის ის დაწესებულება, რომელიც ამა თუ იმ პირს გაჰგზავნის კომისიის სხდომაზე; სასყიდელი შედის სამუშაო ხელფასში, რომელიც განისაზღვრება შრომის სახალხო კომისარიატის მიერ თვითეული თვისათვის ცალკე დადგენილი სამუშაო ხელფასის მაქსიმუმით.

სხდომის ხანგრძლივობა განისაზღვრება ცნობით, რომელსაც მისცემს კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის მოწვევის დრო დაიდგინება წარმომადგენელთა წარმგზავნელი უწყებების მეთაურთა შეთანხმებით.

2. დებულება ესე არ გავრცელდება პასუხისმგებელ მომუშავეებზე. რომელთა მუშაობაც არ არის განსაზღვრული უწყებული დროით და ამის გამო სხდომებში მონაწილეობისათვის მათ სასყიდელი არ მიეცემათ; არ გავრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებთანაც დადებული იქნება სპეციალური შეთანხმება რის ძალითაც მათი მუშაობა არ განისაზღვრება უწყებული დროით.

3. როდესაც ესა თუ ის პირი მიწვეულია სხდომაზე არა როგორც წარმომადგენელი დაწესებულებისა, არამედ როგორც გარეშე პირი, მცოდნე კომისიაში გადასაწყვეტი საკითხებისა (ექსპერტი),—სასყიდელის მიცემა მოხდება შეთანხმებით დაინტერესებულ უწყებასა და ექსპერტს შორის; ამ შემთხვევაში სასყიდელი არ შედის სამუშაო ხელფასში და არ განისაზღვრება მაქსიმუმით.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ორლოვი-მალახოვი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას-“ 1923 წლის ოქტომბრის 10-ს თარიღის 232 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

217. ლომბარდების დაარსების შესახებ.

1923 წ. სექტემბრის 17.

რათა ქალაქთა გაჭირვებულ მცხოვრებლებს შესაძლებლობა მიეცეთ ისარგებლონ ხოლმე ხელმისაწვდენი მოხმარებითი კრედიტი, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს მუშათა და გლეხთა სამაზრო-საქალაქო საბჭოებს გახსნან ხოლმე კომუნალური მეურნეობის განყოფილებასთან ლომბარდი სესხის გასაცემად ფასიანი ნივთების გირაოწინებით, გარდა ფასიანი ქაღალდებისა.

2. დამტკიცებულ იქნეს ლომბარდის ნორმალური წესდება.

3. ლომბარდების წესდებანი, ნორმალური წესდების საფუძველზე დამყარებით შედგენილნი, დამტკიცებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარის მიერ—სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

4. ნებადართულ იქნეს შერეული ტიპის ლომბარდების მოწყობა, კერძო კაპიტალის მონაწილეობით, თანახმად წესებისა, რაც დადგენილ იქნება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

5. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა განახორციელოს თვისი ქვემდებარე ორგანოების მეშვეობით, ზედამხედველობა ლომბარდების მოქმედებისათვის მათ მიერ წესდების მოთხოვნათა შესრულებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ოქტომბრის 11-ს თარიღის 233 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑ

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

მ. ორახელაშვილი.

1923 წ. სექტემბრის 17.

ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ.

ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ.

1. ქალაქის დასახლებულ ადგილას მუშათა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს მიერ, მისი პასუხისმგებლობით, შეიძლება დაარსებულ იქნეს კომუნალურ განყოფილებასთან ლომბარდი სესხის გაცემის ოპერაციების წარმოებისათვის ფასიანი ნივთების დაგირავებით (პროცენტიანი და ფასიანი ქაღალდების გარდა), სახელდობრ: ძვირფასი მეტალისა (ოქრო, პლატინა, ვერცხლი) ზოდებად და ნაკეთობად, ძვირფასი ქვებისა, მარგალიტისა, ტანისამოსისა, ავეჯეულობისა და სხვ.

2. ლომბარდის მოქმედების ფარგალი, გამგებლობის წესი და შედგენილობა განისაზღვრება მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს მიერ ამა წესდების საფუძველზე დამყარებით.

3. ლომბარდის ძირითადი თანხის რაოდენობა განისაზღვრება მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს დადგენილებით და სათანადო თანხა გადაირიცხება კომუნალური განყოფილების მიერ მის განკარგულებად ჩონებული სახსარიდან.

4. ლომბარდის თავდაპირველი ძირითადი თანხა შეიძლება შემდგომ გადიდებულ იქნეს მით, რომ კომუნალური განყოფილება, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს დადგენილებით, გადარიცხავს ხოლმე დამატებითი თანხებს.

სესხის გაცემის წესი.

5. ყოველი ნივთი, ლომბარდში დასაგირავებლად მიტანილი, შეფასებულ უნდა იქნეს პატრონთან შეთანხმებით. უკეთუ ორივე მხარის შორის შეთანხმება მოხდება შეფასების შესახებ, შედგენილ უნდა იქნეს დაწერილებითი აღწერა გირავნობის საგნისა და აღინიშნოს ამ აღწერაში: საგნის შეფასება, წელიწადი თვე და რიცხვი, მისაცემი სესხი, მისი რაოდენობა, სესხის ვადა და სესხის სათანადო პროცენტი, შენახვის და დაზღვევის სასყიდელი და სხვ. პირობა, რაც განსაზღვრულ იქნება საურთიერთო თანხმობით მსესხებელთან. აღწერა ესე შეტანილ უნდა იქნეს გირავნობათა დავთარში.

6. ნივთის გირაოდ მიღებისთანავე ლომბარდი მისცემს წარმდგენელს ბილეთს იმავე ნომრით, რა ნომრითაც გირავნობა ჩაწერილი იქნება დავთარში და ამ ბილეთში უნდა აღნიშნულ იქნეს: ა., ნივთის დაწერილებითი აღწერა, ბ., დრო მისი გირაოდ მიღებისა, გ., ვადა რომლითაც იგი იქნა მიღებული, დ., შეფასება, ე. სესხის რაოდენობა და სხვ. პირობა, რაც შეიძლება დადებულ იქნეს მსესხებელთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილეთის მეორე გვერდზე დაბეჭდილი უნდა იყოს წესდების ამონაწერი, რომელიც უნდა შეიცავდეს ლომბარდის მიერ გირაოდ მიღებული საგნების მილების და დაბრუნების მთავარ დებულებათ. ბილეთი, აუცილებლად ხელმოწერილი ლომბარდის გამგისა და ბუხჰალტერის მიერ, ლომბარდის ბეჭედ დასმული და საღერბო გამოსაღებით ნასყიდევი მსესხებლის ხარჯზე,—მიეცემა მსესხებელს იმავე დღეს იმ ფულთან ერთად, რაც გადაწყვეტილი იქნება სესხად.

7. გირავნობის ბილეთი მიიცემა უსახელო და ბილეთის მფლობელად ცნობილ იქნება წარმდგენელი, ხოლო, უკეთუ მსესხებელი მოისურვებს, ბილეთი შეიძლება მიიცეს სახელობითი. წარმდგენლობითი ბილეთი გადაიცემა ხელიდან ხელში, თვინიერ რაიმე ფორმალობისა; სახელობითი ბილეთის დათმობა-კი სხვა პირისათვის შეიძლება არა სხვაგვარად, თუ არა სრული საგადასაცემო წარწერით და სათანადო აღნიშვნით ლომბარდის დავთარში გადაცემის შესახებ.

შენიშვნა. ბილეთის ბლანკი უნდა ამოიჭრას ხოლმე ზონარგაყოლილი და ლომბარდის ბეჭდით დაბეჭდილი დავთრიდან ან რეგულიდან.

8. ლომბარდი მიიღებს ნივთებს გირაოდ ვადით ერთის თვიდან სამ თვემდე. სესხის ვადის გასვლისას მსესხებელს ეძლევა ერთი საშეღავათო თვე გირაოს გამოსყიდვისა ან გადაგირავებისათვის. გამოსყიდვისა თუ გადაგირავებისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს დადგენილი პროცენტი სესხისა და შენახვისა და დაზღვევის სასყიდელი ნახევარ თვეობის ანგარიშით და იმ ვარაუდით, რომ დრო ერთი დღიდგან 15 დღემდე ნახევარ თვედ ჩაითვლება, ხოლო 15 დღეზე მეტი 31 დღემდე მთელ თვედ ჩაითვლება. უკეთუ საშეღავათო თვის გასვლისას გირავნობა გადახდილი არ იქნება ან გადაგირავება არ მოხდება, დაგირავებული ნივთები გასაყიდად დაინიშნება აუქციონის წესით საერთო საფუძველზე.

9. გირაოდ მიღებული ნივთების რეკეზიცია ან კონფისიკაცია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება და მათი ამოცლა, გირავნობის ბილეთის მქონეპელის ნების გარეშე, შეიძლება მხოლოდ სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ამასთანავე ლომბარდს უნდა დაებრუნოს გაცემული სესხი, და მიეცეს ამ სესხის % და შენახვისა და დაზღვევის სასყიდელი.

10. გირაოდ მიღებული ნივთების მთლიანობისათვის პასუხისმგებელია ლომბარდი როგორც მთლად თავისი თანხებით, ისე ქალაქის ყველა სახსარით, ხოლო ლომბარდის პასუხისმგებლობა თვითეული ცალკე გირაოსათვის განისაზღვრება დაგირავებული საგნის შენაფასი თანხის რაოდენობით.

11. გადაგირავებისას ლომბარდი მოახდენს ახალ შეფასებას და, უკეთუ იგი თავდაპირველ შეფასებაზე ნაკლები აღმოჩნდება, მსესხებელი მოვალეა გადაუხადოს ლომბარდს სესხის ნაწილი, ისე რომ სესხად გაცემული ვალის ნაშთი არ აღემატებოდეს დადგენილ ნორმას, თანახმად დაგირავებული ნივთების ახალი შეფასებისა.

შენიშვნა. გადაგირავებული ნივთები, უკეთუ მსესხებელი მოისურვებს წარედგინება მას გასასინჯავად.

12. ლომბარდის მიერ სესხისათვის გადასახდევინებელი პროცენტების რაოდენობა და აგრეთვე დაგირავებული ნივთების შენახვისა და დაზღვევის სასყიდელი დადგენილ უნდა იქნეს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საქალაქო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოს მიერ და დამტკიცებულ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან.

პროცენტები და დაგირავებული ნივთების შენახვისა და დაზღვევის სასყიდელი გადახდევინებულ უნდა იქნეს ნივთების გამოსყიდვისა, გადაგირავებისა და ვადა-გადაცილებული გირავნობის საგნების გაყიდვისას.

13. სესხი გაიცემა: ძვირფასი მეტალის დაგირავებით მისი წონად შენაფასი ღირებულების 80%-დე და არა უმეტეს 60%-სა ყოველგვარი სხვა საგნის დაგირავებით; ამასთანავე სესხის პროცენტები და შენახვისა და დაზღვევის სასყიდელი გადახდევინებულ უნდა იქნეს სესხად მიცემული თანხის მიხედვით და არა შენაფასის თანხისა.

14. დაგირავებული ნივთის გამოსყიდვა შეიძლება გირავნობის ვადის გათავებამდისაც. პროცენტებისა და შენახვისა და დაზღვევის სასყიდლის ანგარიშგასწორება ნახევარ-ნახევართვეობითი მოხდება, თუნდაც ვადამდე გამოსყიდვა იმ დროს მოხდეს, სადაც ნახევარი თვე სრულად არ იქნება გასული.

15. დაგირავებული ნივთები გამოსყიდვის დროს მიეცემა მათ მფლობელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს პიროვნების შემოწმებისას; ხოლო საწარმდგენელო ბილეთით-კი მიეცემა, გარეშე ყოველგვარი ფორმალობისა, ბილეთის წარმდგენელს.

დაგირავებული ნივთების მიცემისას ლომბარდი ბილეთს დაიბრუნებს.

16. უკეთუ უსახელო ბილეთი დაიკარგა, მსესხებელი მოვალეა შეიტანოს ამის შესახებ განცხადება ლომბარდში და აღნიშნოს დაწვრილებითი დაგირავებული ნივთების შესამჩნევი ნიშნები, დაგირავების დრო, მიღებული სესხი და, თუ შეიძლება, ბილეთის ნომერი. უკეთუ აღნიშნული ნივთები ლომბარდში აღმოჩნდება, ლომბარდი მათ შეკრულებას დაადებს. ბილეთის მფლობელი მოვალეა ერთი თვის პროცენტები წინადვე შეიტანოს, უკეთუ გირავნობის ვადა არ დამდგარა; ხოლო, უკეთუ გირავნობის ვადა უკვე გასულია, მან უნდა შეიტანოს თვენახევრის პროცენტი წინადვე საურავითა და ხარჯით; მოახდინოს ორი კვირის განმავლობაში პუბლიკაცია დაკარგვის შესახებ ადგილობრივ ოფიციალურ ორგანოში, რათა მპოვნელმა ბილეთი ლომბარდში წარადგინოს. ლომბარდის სადგომში, თვალსაჩინო ადგილას, გამოფენილი უნდა იქნეს ასეთივე განცხადება დაკარგული ბილეთის შესახებ. უკეთუ ბილეთი წარდგენილ იქნება, ნივთებს შეკრულობა მოეხსნება და ნივთები გამცხადებელს მიეცემა; წინააღმდეგ შემთხვევაში, უკეთუ ორი თვის განმავლობაში პუბლიკაციის დღიდან, არავინ დავას არ განაცხადებს, დაკარგული ბილეთი არასანამდვილოდ იქნება ცნობილი და გამცხადებელს უფლება აქვს გამოისყიდოს დაგირავებული ნივთები ან მიიღოს ახალი ბილეთი.

17. სააუქციონო გაყიდვა ვადაგადაცილებული გირავნობის ნივთებისა მოხდება ლომბარდის სადგომში ცალკე მეაუქციონის მეშვეობით. იმ ნივთების შესახებ, რომლებიც გასაყიდად იქნება დანიშნული ვადის გადაცილების გამო, გამოფენილი უნდა იქნეს ლომბარდში განცხადება, რაშიაც უნდა აღინიშნოს ვადაგადაცილებული გირავნობის ნივთები და საგირავნო ბილეთის ნომერი. ვადაგადაცილებული გირაოს სააუქციონო წესით გაყიდვა მოხდება არა უადრეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორის კვირისა გირავნობის გამოსყიდვისათვის დადგენილი საშეღავათო თვის გასვლის შემდეგ.

ვადაგადაცილებული გირავნობის ნივთების გაყიდვა უნდა აღინიშნოს ცალკე ზონარგაყრილ დავთარში. ლომბარდი პასუხისმგებელი არ არის მსესხებლის წინაშე, უკეთუ საუქციონო ვაჭრობით სრულად ამოგებული არ იქნება გაყიდული საგირავნო ნივთების შენაფასი თანხა.

18. უკეთუ პირველი ვაჭრობა რომელიც დანიშნული იქნება ვადაგადაცილებული გირავნობის საგნების გასაყიდად შენაფასი თანხიდან დაწყებით, არ შესდგება, დაინიშნება მეორე ვაჭრობა არა უგვიანეს 6 კვირისა. უკეთუ ამ მეორე ვაჭრობაზედაც აღნიშნული საგნები არ გაიყიდება ლომბარდის ვალის თანხიდან დაწყებით, ლომბარდი ამ საგნებს თავისად იტოვებს და სპობს მსესხებელთან ყოველგვარ ანგარიშს.

19. აუქციონზე ნივთის მყიდველი მოვალეა შეიტანოს ლომბარდში ან მთელი თანხა, ან და ბე არა ნაკლებ 20%-სა. უკეთუ ორი დღის განმავლობაში მყიდველი არ გადაიხდის დანარჩენ თანხას, იგი ჰკარგავს თავის ბეს და ეს ბე მიიკცევა ლომბარდის ვალის გასტუმრებისათვის, ხოლო დაგირავებული ნივთები კვლავ დაინიშნება გასაყიდად.

20. ნივთის გაყიდვით ამოგებული თანხიდან დაიკირება საგირავნო ვალით, კუთვნილი პროცენტი, შენახვისა და დაზღვევის სასყიდელი და ლომბარდის სხვა ხარჯი, ნივთების გაყიდვით გამოწვეული, ხოლო დანარჩენი ფული მიეცემა ბილეთის წარმდგენელს, ან ნივთების მფლობელს, უკეთუ ბილეთი სახელობითი იყო.

21. დაგირავებული ნივთების, გაყიდვით შემოსული თანხიდან,—სესხისა და საუქციონო ხარჯების დაფარვის შემდეგ,—დარჩენილი ფული მსესხებელს შეუძლიან მოითხოვოს, პროცენტის მიურიცხველად, ერთი წლის განმავლობაში; უკეთუ ამ ვადის განმავლობაშ ფული მოთხოვნილი არ იქნება, ეს ფული დარჩება ლომბარდის სასარგებლოდ და მიეთვლება მის სატრიალელელ სახსარს.

ლომბარდის გამგებლობა.

22. ლომბარდის ოპერაციებისა და საქმის ხელმძღვანელობისათვის კომუნალური განყოფილება დანიშნავს ლომბარდის გამგეს და მის მოადგილეს, რომელთაც დაამტკიცებს საქალაქო საბჭო. ლომბარდის გამგეთა გასამოჯელოს განსაზღვრავს კომუნალური განყოფილება და იგი გაიცემა ლომბარდის სატრიალებელი სახსრიდან. ლომბარდის მოსამსახურეთ დანიშნავს ლომბარდის გამგე.

23. ლომბარდის გამგე მოვალეა თვალყური ადევნოს ლომბარდის საქმეთა წესიერად წარმოებას, მისი ოპერაციების ანგარიშწარმოებას და ანგარიშგებას; უნდა ზრუნავდეს მის დაცვას ყოველგვარ ზიანისაგან და, აგრეთვე, იქონიოს მუდმივი ზედამხედველობა დაგირავებული ნივთებისა და სალაროს ხელთნაქონობის მთლიანობისათვის. გამგისა და მისი მოადგილის მოვალეობას შეადგენს სასამართლოს დაწესებულებებში გამოსვლა ლომბარდის ინტერესების დასაცველად; ამასთანავე შეუძლიან გაჰგზავნოს, როცა საჭირო იქნება, თავისი რწმუნებული ან იურისკონსულტი.

24. ხარჯის წარმოებისათვის ლომბარდის გამგე ხელმძღვანელობს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს მიერ დამტკიცებულ აღრიცხვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. ლომბარდის ის თანხები, რაც საჭირო არ იქნება გადაუდებელი ხარჯებისათვის, შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ან ქალაქის კომუნალურ ბანკში—მიმდინარე ანგარიშზე.

ფულად ჩეკებს ხელს აწერენ ლომბარდის გამგე ან მისი მოადგილე, ლომბარდის ბუხჰალტერი და მოლარე. ლომბარდს თვის ბეჭედი აქვს.

26. ყოველი თვის გასვლისას ლომბარდის ხელთნაქონობას ამოწმებს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდუმის ეოთ-ერთი წევრი.

27. ფინანსთა სახალხო კომისარიატს ეკუთვნის უფლება ზედამხედველობისა ლომბარდის წესიერი მოქმედებისათვის ისე რომ, წესდების მოთხოვნები შესრულებულ იქნეს; ამასთანავე ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ადგილობრივ საფინანსო განყოფილებათ შეუძლიანთ მოახდინონ ლომბარდის რევიზია მათ მიერ საამისოდ წარკლინებული თანამშრომლების მეშვეობით, რომელთაც ლომბარდი მოვალეა გადუხსნას დავთრები, ანგარიშები და წარუდგინოს,—მათი მოთხოვნისამებრ, სალაროს ხელთნაქონობა და დაგირავებული საფასური.

ლომბარდის ანგარიშგება.

28. ანგარიშწარმოება და ანგარიშგება უნდა ვიდოდეს იტალიანური ორმაგი სისტემით. ყოველ-ოვე, არა უგვიანეს 10 რიცხვისა (თვითეულ თვეში) ლომბარდი შეადგენს ანგარიშთა მდგომარეობის ნუსხას (ბალანს) იმავე თვის 1-ლი რიცხვისათვის და წარუდგენს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდუმსა და ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას.

29. ყოველი წლის დამთავრებისას ლომბარდი შეადგენს წლიურ ანგარიშს ლომბარდის წარსული წლის ოპერაციებისას. ანგარიში უნდა შეიცავდეს დაწერილებით შემდეგ მთავარ მუხლებს:

ა. ლომბარდის კაპიტალის მდგომარეობა.

ბ. საერთო შემოსავალი და გასავალი იმ ხნისა, რომლის ანგარიშიც წარიდგენება.

2) ანგარიში ლომბარდის ვალისა სხვა პირების მიმართ და სხვა პირთა ვალისა ლომბარდის მიმართ.

1) გ. ანგარიში ლომბარდის ხელნაქონი ქონებისა და ამ ქონების მარაგისა.

ე. ანგარიში ხარჯებსა ლომბარდის მოსამსახურეთა ჯამაგირისა და გამგეობის სხვა საჭიროებისათვის.

3. ანგარიში შემოსავლისა და ზარალისა და სანიმუშო განაწილება წმინდა მოგებისა.

30. ყოველი გასული წლის ანგარიში ლომბარდის მოქმედებისა, არა უგვიანეს შემდეგი წლის მარტის 15-სა, კომუნალური განყოფილების მიერ წარედგენება მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდუმს, რომელიც, ანგარიშის შესამოწმებლად ნამდვილ დავთრებსა და დოკუმენტებთან, დანიშნავს ერთ-ერთ თავის წევრს, საფინანსო განყოფილებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რათა ამ პირებმა მოახდინონ შემოწმება არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა და წარუდგინონ თავიანთი დასკვნა პრეზიდუმს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსათვის მოსახსენებლად.-ასლი წლიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშისა, მისი საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ, გაიგზავნება საფინანსო განყოფილებაში.

31. ლომბარდის ოპერაციების მიხედვით წლიურ ანგარიშში გამოყვანილი მოგება,-ლომბარდის ყველა საგამგებლო ხარჯებისა და მის მიერ ნახული ზარალის გამოკლებით,—განაწილდება შემდეგნაირად: 50% გადაიდება ლომბარდის სტრიალებელ სახსრის გასაძლიერებლად, ხოლო დანარჩენი თანხა გადაირიცხება მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს განკარგულებაში.

დადგენილება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1923 წ. ოქტომბრის 6.

218. ჩერვონეცის კურსის შესახებ 1923-1924 საბიუჯეტო წლის სააღრიცხვო შემოსავლისა და გასავლის გამო საანგარიშებლად.

1923-1924 წლისათვის სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვის და ნუსხის შედგენისა და განხილვის წესის შესახებ ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. სექტემბრის 26 თარიღითა და 92 №-რით გამოქვეყნებული („ზარია ვოსტოკა“-ს 224 №-რი) დადგენილების მე-9 მუხლის შენიშვნის თანახმად, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ 1923-1924 საბიუჯეტო წლისათვის სააღრიცხვო შემოსავლისა და გასავლის გამოსაანგარიშებლად იმ შემთხვევაში, როდესაც ნორმები და ფასები გამოყვანილ არ არის პირდაპირ ჩერვონცებად,—მიღებულ უნდა იქნეს სახელმძღვანელოდ,-რომ ერთი ჩერვონეცი უდრის ორმოცდაცამეტ მილიონ მანათს ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **იზმაილოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ოქტომბრის 16 თარიღის 238 №—ში.

ნებად. ლ. და გ. მთავ. მართ. № 923 ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა. ტირაჟი 800